

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლამარა ტაბატაძე

მეტაფორული ანდაზების სემანტიკური კლასიფიკაცია და მათი ფუნქციური
თავისებურებები ანგლოფონურ კულტურაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე
ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია დავითიშვილი
ფილოლოგიის აკად. დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გორი

2021

Semantic Classification of Metaphoric Proverbs and Their Functional Peculiarities in Anglophone Culture

A b s t r a c t

The paper considers proverb as a specific type of a short didactic folk text, presented in a fixed, rhythmical and easily memoizable form, which contains a piece of unanimously acknowledged wisdom, morals and traditional views gathered throughout centuries from the life experience of its creators, and which is passed from generation to generation mostly in an oral way. Metaphoric proverbs express folk wisdom through the juxtaposition of heterogenous concepts on the basis of their common features understandable for everyone in the given ethno-culture. The research revealed that metaphoric meaning of the proverb is realized in two forms: a) in the form that of the metaphor proper, which implies latent comparison of heterogenous concepts, and b) in the form of simile which is explicitly realised with the help of comparative constructions *better ... than, worse ... than, as good ... as, as ... as*, etc.

We conducted linguo-cultural analysis of the metaphoric proverbs denoting the concepts of *love, friendship, home* and *family relations*. Our research has shown that the semantics of these proverbs usually contain positive evaluative properties, though there are some exceptions, when these conceptual proverbs bear negative connotations. Positive proverbs usually encourage listeners, while negative ones rebuke. It should be noted, that a proverb's negative or positive evaluative essence is revealed either through its components or the contextual analysis of the proverb.

The contextual analysis of metaphoric proverbs in fictional writing revealed two types of their functioning in the text: a) usual, when the proverb is used in its systemic, widely accepted meaning; and b) occasional, when the traditional meaning of the proverb is subjected to some semantic changes acquiring specific, individual meaning under the influence of a particular context. As a result, a proverb may shift from one semantic class to another or its evaluative essence may be changed from that of the positive one to negative, and vice-versa.

Key words: metaphoric proverbs, structural types of metaphoric proverbs, positive/negative evaluative essence, usual or occasional usage of proverbs.

სარჩევი

შესავალი 6

თავი 1

ანდაზა, როგორც ლინგვო-კულტურული ფენომენი და მისი მიმართება მსგავს ენობრივ ერთეულებთან

- §1. ანდაზის სხვადასხვა ინტერპრეტაცია და მისი
ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლები 10
- §2. ანდაზის მიმართება ენის ფრაზეოლოგიურ ფონდთან 16
- §3. ანდაზის და ხატოვანი გამოთქმის საერთო
და განმასხვავებელი ნიშნები 19
- §4. ანდაზის და აფორიზმის საერთო და
განმასხვავებელი ნიშნები 22
- §5. ანდაზის კვლევის კოგნიტური ასპექტი და მისი
მიმართება მეტაფორიზაციის ფენომენტთან 25

თავი 2

ინგლისურ ანდაზათა თემატური ჯგუფები. მათი სემანტიკა

და სტილისტური თავისებურებები

- §1. შეფასების კომპონენტი ინგლისურ ანდაზებში. დადებითი და უარყოფითი ანდაზების სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები ანგლოფონურ კულტურაში 30
- §2. სიყვარულის თემაზე შექმნილი ინგლისურენოვანი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა 38
- §3. მეგობრობის თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა 41
- §4. სახლის (home) თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა 46
- §5. ოჯახური ურთიერთობების თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა 52

თავი 3

კონტექსტის გავლენა ანდაზის სემანტიკურ-შეფასებით

არსზე

- §1. ინგლისური ანდაზების გამოყენება უზუალური მნიშვნელობით 59

§2. ინგლისურენოვანი ანდაზების გამოყენება ოკაზიონალური მნიშვნელობით	63
§3. ანდაზის სემანტიკური კლასის ცვლილება	64
§4. ანდაზის შეფასებითი არსის ცვლილება	68
დასკვნა	74
გამოყენებული ლიტერატურის სია	79
ნაშრომში გამოყენებული ლექსიკონები	81
მხატვრულ წყაროთა სია	81

შესავალი

ჩვენი სამაგისტო ნაშრომი ეძღვნება სიყვარულის, მეგობრობის, სახლის (home) და ოჯახური ურთიერთობების გამომხატველი მეტაფორული ანდაზების ლინგვო-კულტუროლოგიურ კვლევას.

ანადაზა, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იქცევს ისეთი სხვადასხვა დარგის მკვლევართა ყურადღებას, როგორცაა ლინგვისტიკა, ფოლკლორისტიკა, კულტუროლოგია და ეთნო-ფსიქოლოგია. ასეთი დიდი დაინტერესება პარემიოლოგიით განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ანდაზებში ვლინდება იმ ხალხის ყოფა-ცხოვრება, ისტორია, ზნე-ჩვეულებები და მორალი, რომლის წიაღშიც ისინი შეიქმნა. ანდაზების აქტიური გამოყენება არა მხოლოდ ამდიდრებს და ალამაზებს მეტყველებას, არამედ ხელს უწყობს ერის მენტალობის უკეთ შეცნობას.

ანდაზას განსაკუთრებული ადგილი უკავია ენობრივ ერთეულთა ფონდში. იგი წარმოადგენს წინადადების სტრუქტურის მქონე დასრულებულ გამონათქვამს, რო-მელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ასევე ერთდროულად პირდაპირი და გადატანითი, ან მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა კი თავისი არსით შეიძლება იყოს დადებით-შეფასებითი და წაქეზებას გამოხატავდეს ან, პირიქით, უარყოფითი და კიცხავდეს ადრესატს.

ნაშრომის აქტუალურობა. სპეციალური ლიტერატურის განზოგადებამ წარ-მოაჩინა, რომ ჩვენს მიერ საკვლევ ობიექტად შერჩეული რეალობის ეს სფეროები (სიყვარული, მეგობრობა, სახლი/home და ოჯახური ურთიერთობები) და მათი მე-ტაფორიზებული ასახვა ანდაზებში ჯერ კიდევ არ ყოფილა ცალკე შესწავლის საგანი. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ თემატიკის ანდაზებშია ვერბალიზებული ის ძირითადი ფასეულობები, რაც ანგლოფონური კულტურის თვითყოფადობას განაპირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია იმ მეტაფორული ანდაზების ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებების გამოვლენა და

განზოგადება, რომლებშიც რეალობის ზემოხსენებული სფეროები ჰპოვებს ასახვას. ამ მიზანს ვახორციელებთ ეტაპობრივად ორ დონეზე: თავად ანდაზების ლინგვოკულტუროლოგიური და ენობრივ-პრაგმატიკული განზოგადების დონეზე და მათი ფუნქციონირების დონეზე მხატვრულ ტექსტში.

კვლევის ზოგადი მიზნის მისაღწევად ნაშრომში განხილულია შემდეგი კონკრეტული საკითხები:

- 1) კრიტიკულად არის განზოგადებული ანდაზის ძირითადი სემანტიკურ-პრაგმატიკული მახასიათებლები, რის საფუძველზეც დაზუსტებულია მისი დეფინიცია და ანდაზა გამიჯნულია მსგავსი ენობრივი ერთეულებისგან;
- 2) შესწავლილია ანდაზის კოგნიტური ასპექტის მიმართება მეტაფორიზაციის პროცესთან;
- 3) გაანალიზებულია სიყვარულის, მეგობრობის, სახლის (home) და ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ანდაზები, რის შედეგადაც გამოვლენილია მათი ენობრივ-კულტურული და სტილისტური თავისებურებები;
- 4) და ბოლოს, ნაჩვენებია ანდაზის შეფასებითი სემანტიკის ვარირება მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში.

საკვლევი ემპირიული მასალა მოძიებული გვაქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის და ცნობილი ამერიკელი პარემიოლოგის უაითინგის ანდაზების ლექსიკონებიდან; გამოყენებული გვაქვს ასევე კუნინის ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიის ლექსიკონი. ანდაზების კონტექსტური ანალიზი კი განხორციელებული გვაქვს აგატა კრისტის, დიკენსის, მოემის, უაილდის და გოლზუორთის ნაწარმოებებზე დაყრდნობით.

ბუნებრივია, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია პრობლემის ამომწურავ კვლევაზე, თუმცა ვფიქროთ, რომ ნაშრომს აქვს გარკვეული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. მასში პირველად არის

გამოვლენილი სიყვარულის, მეგობრობის, სახლის/home და ოჯახური ურთიერთობების მეტაფორული გამოხატვის ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები, რამაც შეიძლება თავისი მოკრძა-ლებული წვლილი შეიტანოს ანდაზის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ინტერდისციპლინურ კვლევაში. ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება კი განისაზღვრება იმით, რომ მასში მოცემული მასალა და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლებისას სკოლებში.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა პარემიოლოგიების მიედერის, ტეილო-რის, შირლის, უაითინგის, კუნინის და სხვათა კვლევებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნებიან და შემდგომ ავითარებენ რუსი პარემიოლოგის პერმიაკოვის ლინგვისტურ კონცეფციას ანდაზათა შესახებ. გამოყენებული გვაქვს ასევე ქართველი მკვლევარების ერთელიშვილის, დარასელიას და რუსიეშვილის ნაშრომები. ანდაზების კვლევა წარმოებს ე.წ. "content analysis" ისეთი **მეთოდების** გამოყენებით, როგორცაა მყარი გამოთქმების დეფინიციურ-კომპონენტური და კონსტექსტური ანალიზი.

ნაშრომის სტრუქტურა განაპირობებულია კვლევის მიზნებით და დასახული კონკრეტული ამოცანებით. იგი შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისაგან. მას თან ახლავს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, ლექსიკონების და მხატვრულ წყაროთა სია.

შესავალში ტრადიციულად დასაბუთებულია საკვლევი თემის არჩევანი, მისი აქტუალურობა და სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება; ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და მასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები. აქვეა დაზუსტებული ემპირიული მასალა და კვლევის ძირითადი მეთოდები.

პირველ თავში – „ანდაზა, როგორც ლინგვო-კულტურული ფენომენი და მისი მიმართება მსგავს ენობრივ ერთეულებთან“, განხილულია სხვადასხვა ლინგვისტური დებულებები ანდაზის ბუნებაზე, მის სემანტიკაში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების კორელაციაზე,

კოგნიტურ პროცესებში მეტაფორიზაციის როლზე. პარემიოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, განზოგადებულია ანდაზის ძირითადი მახასიათებლები, რის საფუძველზეც დაზუსტებულია მისი ცნებითი შინაარსი და ანდაზა გამიჯნულია ფრაზეოლოგიური ერთეულებისგან, ხატოვანი გამოთქმებისგან (Sayings) და აფორიზმებისგან.

მეორე თავში – „ინგლისურ ანდაზათა თემატური ჯგუფები, მათი სემანტიკა და სტილისტური თავისებურებები“ – განხორციელებულია ანდაზების მეტაფორულ-შედარებითი ასპექტის სემანტიკური და სტილისტური ანალიზი. როგორც უკვე აღვნიშნეთ კვლევა ემყარება სიყვარულის, მეგობრობის, სახლის (home) და ოჯახური ურთიერთობების ამსახველი ანდაზების ანალიზს.

მესამე თავში – „კონტექსტის გავლენა ანდაზის სემანტიკურ-შეფასებით არსზე“ – ინგლისურენოვანი ანდაზების გამოყენება განხილულია მხატვრულ ტექსტში უზუალური და ოკაზიონალური მნიშვნელობით, რის შედეგადაც წარმოჩენილია მათი შეფასებითი სემანტიკის ვარირება კონტექსტის გავლენით.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

თავი 1

ანდაზა, როგორც ლინგვო-კულტურული ფენომენი და მისი მიმართება მსგავს ენობრივ ერთეულებთან

§1. ანდაზის სხვადასხვა ინტერპრეტაცია და მისი ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლები

ტერმინის „ანდაზა“ კონცეპტუალური შინაარსი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ლინგვისტურ ლიტერატურაში.

ინგლისურ ენაში არსებული ლექსემა “proverb” (ლათ. proverbium – „საჯარო სიტყვა“) უბიძგებს ენათმეცნიერებს გამოთქვან შეხედულება, რომლის თანახმადაც ანდაზის განმარტების ჩამოყალიბება რთულ პრობლემას წარმოადგენს. ამერიკელი პარემიოლოგის, ტეილორის მიხედვით, "როდესაც ვამბობთ, რომ ანდაზა არის მოკლე, პოპულარული და ბრძნული გამონათქვამი, რთულია ობიექტურად დავადგი-ნოთ, რა არის მოკლე, პოპულარული და ბრძნული და რა – არა (Taylor, 1975, p.49)." მკვლევარის აზრით, ნებისმიერ პოპულარულ, სიბრძნის მატარებელ და ფართო გამოყენების მქონე გამონათქვამს ვერ ვუწოდებთ ანდაზას, რადგანაც ანდაზა ლამაზი ჟღერადობის, სიბრძნით სავსე, წიგნიერი და საუკუნოვანი ისტორიის მქონე გამონათქვამია. ამიტომ ანდაზა ან ისე უნდა განვმარტოთ, როგორც ამას ინტუიცია გვკარნახობს ან საერთოდ განმარტების გარეშე დავტოვოთ. თუმცა, აშკარაა, რომ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად გუमानს და ინტუიციას ვერ დავვეყრდნობით. ანდაზის განმარტება უნდა იყოს პრაქტიკულად და თეორიულად დასაბუთებული (იქვე).

პარემიოლოგიაში ანდაზას განიხილავენ როგორც ხალხური სიბრძნით სავსე გამონათქვამს, რომელსაც დიდაქტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული და გარკვეულ მორალურ ნორმებს იცავს (Rogers, 1994: 162; Obelkevich, 1994:

213). ანდაზა ძირითადად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში წარმოიქმნება და ფორმით მოკლე წინადადებას წარმოადგენს, თუმცა როგორც მიედერი ამტკიცებს, ყველა ანდაზა მოკლე არ არის (Mieder, 2004). ბართრეთ უაითინგი ანდაზებს მიაკუთვნებს მხოლოდ ზეპირი ფორმის ხალხური წარმოშობის გამონათქვამებს, ლიტერატურული ეტიმოლოგიის მქონე გამონათქვამებს კი იგი სენტენციებს უწოდებს (Whiting, 1989).

ანდაზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს მისი სემანტიკური ორპლა-ნიანობა წარმოადგენს, რომელსაც ეფუძნება მისი მეტაფორული გამოყენება. თუმცა მეტაფორულობის, როგორც ანდაზის აუცილებელი მახასიათებლის განხილვისას, უცხოელი მკვლევარები კონსესუსს ვერ აღწევენ. მაგალითად, მიედერი, ობელკევიჩი და როჯერსი ანდაზის მეტაფორულობას განიხილავენ მის ერთ-ერთ დამახასიათებელ, მაგრამ არაობლიგატორულ თვისებად (Mieder, 2004; Obelkevich, 1994, 213; Rogers, 1994, 162). ბარლის და იანკას მოსაზრებით კი, ანდაზები მეტაფორული არის არიან. არამეტაფორულ ერთეულებს იანკა მაქსიმებს ან აფორიზიმებს მიაკუთვნებს (Yankah. 1994: 139; Барли, 1984: 129-130).

ოქსფორდის ლექსიკონში მოყვანილი განმატების მიხედვით, ანდაზა არის ალიტერაციით ან მის გარეშე წარმოდგენილი მეტაფორული ან არამეტაფორული გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს ხალხური გამოცდილებით გამყარებულ, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას (ODEP, 1970).

ანდაზის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომების (Mieder 2004, Taylor, 2011; Whiting 1932, Куних 1967: 30, რუსიეშვილი 2005, დარასელია 1998 და სხვ.) კრიტიკული განზოგადება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ამ ენობრივი ფენომენის ის ძირითადი ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ანდაზის ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას. იგივე მახასიათებლების საფუძველზე და თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით, ჩვენ შევძელით შეგვემუშავებინა ანდაზის მეტ-ნაკლებად მისაღები განმარტება.

ანდაზის პირველ მახასიათებლად შეიძლება განვიხილოთ მისი ხალხურობა. ანდაზის მკვლევართა უდიდესი ნაწილი ამ მახასიათებელს მიიჩნევს ანდაზისა და აფორიზმის განმასხვავებელ ძირითად ნიშნად. მიედერის, ტეილორის, უაითინგის და პერმიაკოვის აზრით, ანდაზა ხალხური წარმოშობის, ხალხური ფესვების მქონე ერთეულია, მაშინ როდესაც აფორიზმს ყოველთვის კონკრეტული ავტორი ჰყავს.

ანდაზის მეორე მახასიათებელს წარმოადგენს ღრმა და განზოგადებული ბრძნული აზრის გამოხატვა ცხოვრების თუ სამყაროს რაიმე მოვლენის შესახებ. მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ანდაზა გადმოსცემს საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და სიბრძნეს. არსებობს განსხვავება კაცობრიობის მიერ სამყაროზე დაკვირვების შედეგად შექმნილ ზოგად ცოდნასა და საკუთრივ სიბრძნეს შორის. მაგალითად, შემოდგომის ფოთოლცვენა, გაზაფხულის თბილი მზე – ზოგადი და კანონზომიერი ცოდნაა; ხოლო ის, რომ "Don't look a gift horse in the mouth (ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯებაო.)" – სიბრძნეა. თითქმის ყველა პარემიოლოგი (ტეილორი, უაითინგი, მიედერი, პერმიაკოვი, დარასელია, რუსიეშვილი და სხვები) აღნიშნავენ, რომ ანდაზურ სიბრძნეს საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ საუკუნეების მანძილზე დაკვირვების შედეგად შექმნილი წარმოდგენა სამყაროს მოვლენების შინაგანი სიღრმისეული მიმართებების შესახებ (მაგ; კარგი და ცუდი, ბოროტი და კეთილი, და ა.შ). სხვა სახის დაკვირვება – რაგინდ ზოგადი, უნივერსალური და კანონზომიერი არ უნდა იყოს იგი – არ არის სიბრძნე.

შესაბამისად, ანდაზის მესამე მახასიათებლად მისი სიღრმისეული ოპოზიციურობა უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში შეიძლება ყოველთვის არ ფიგურირებდეს. საილუსტრაციოდ ავიღოთ ანდაზა "It's easy to spill water but difficult to collect it.", სადაც ორი ოპოზიციური წყვილი ფიგურირებს – "spill/collect და easy/difficult". ან კიდევ, ანდაზა – "The parcel is big but empty", ოპოზიციურობას ქმნის წყვილი "big / empty". ანდაზების კრებულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ

ინგლისურ ენაში სჭარბობს ერთი ოპოზიციური წყვილის მქონე ანდაზა. მაგალითად: “Better an egg today than a hen tomorrow; One today is worth two tomorrow; Better ask twice than do wrong once; Better a witty fool than a foolish wit; Better be born lucky than rich; Better children weep than old men“. უნდა აღინიშნოს, ოპოზიციურობა იქმნება როგორც შედარებითი კონსტრუქციით – “*better ... than*“, ასევე კავშირით *but*, რომელსაც საპირისპირო აზრი ან ცნება შემოჰყავს ტექსტში.

ანდაზის მეოთხე მახასიათებლად განვიხილავთ მის დიდაქტიურობას, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს მისი პირველი ნიშნიდან, რადგანაც, თუ ანდაზა გამოხატავს ცხოვრების რაიმე მოვლენის შესახებ ჭეშმარიტ და განზოგადებულ აზრსა და ცოდნას, შესაბამისად იგი შეიძლება დიდაქტიური მიზნით გამოვიყენოთ. მაგალითად:

„One swallow does not make a summer (ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.); Don't look a gift horse in the mouth (ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯება.); Don't count your chickens before they are hatched. (წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან.)“

ანდაზის კიდევ ერთ სავალდებულო მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ მისი ფორმის სისხარტე, ლაკონიურობა და რითმულობა, რაც ძირითადად მიიღწევა ისეთი პოეტური ხერხების გამოყენებით, როგორცაა: ა) ალიტერაცია: “Practice makes perfect“, “Forgive and forget“, “Love laughs at locksmiths.“ ect.; ბ) პარალელიზმი: “Ill got, ill spent,” “Nothing ventured, nothing gained“, “Easy come, easy go.“ და გ) ელიფსისი: “More haste, less speed.“ “Once bitten, twice shy“, “Deeds, not words.“

პარემიოლოგთა გარკვეული ნაწილი ანდაზის შემდეგ მახასიათებლად მის სტრუქტურულ სპეციფიკურობას მიიჩნევს, რაც განპირობებულია მისი ქვემდებარულ-შემასმენლური კონფიგურაციით (Mieder 2004, Taylor 1975, 2011, Кунин 1967: 30, დარასელია 1998). “The first day a man is a guest, the second a burden, the third a pest“; “No fine clothes can hide the clown“; და სხვ.

თუმცა ზოგი მკვლევარის აზრით (მაგალითად, რუსიეშვილი 2005), წინადადების სტრუქტურა უნდა განვიხილოთ ანდაზის ფაკულტატურ ანუ არასავალდებულო ნიშნად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ანდაზად არ ჩაითვლებოდა ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: “No cut like unkindness;” “No fence against ill-fortune;” “Better a glorious death than a shameful life;” („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“) და სხვ..

ამასთან დაკავშირებით, ჩვენთვის უადრესად საინტერესო და მისაღებია ვოლფგანგ მიედერის მოსაზრება, რომელიც ანდაზის ძირითად მახასიათებლად მის პროპოზიციურ სტრუქტურას განიხილავს, რომელიც ზედაპირულ დონეზე შეიძლება გაფორმებული იყოს როგორც წინადადების, ასევე ფრაზის სახით (Mieder 2004: 18). ლინგვისტურ ლიტერატურაში პროპოზიცია განიხილება სუბიექტურ-პრედიკატული სტრუქტურის მქონე აზრობრივ-სემანტიკურ ცნებად, რომელშიც იკონისტურ ასახვას ჰპოვებს ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება.

ანდაზის ფაკულტატურ, ანუ არასავალდებულო მახასიათებელს კი მისი მეტაფორული ხატოვანება წარმოადგენს. არსებული აზრის თანახმად, ანდაზა სამყაროს კანონზომიერ მოვლენას მეტაფორულად აფიქსირებს. როგორც ცნობილი პარემიოლოგი ა. ტეილორი აღნიშნავს, “Expression of concepts in proverbs is linked with figurativeness (“ანდაზებში ცნებების გამოხატვა დაკავშირებულია ფიგურატიულობასთან” – Taylor 2011).” ზოგ ანდაზაში ხატი მკვეთრად მეტაფორულია, ზოგან კი ნაკლებად მეტაფორული. მაგალითად, ანდაზაში “No rose without thorns“ („ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“), ზედაპირულ დონეზევე ფიქსირდება მკვეთრად გამოხატული მეტაფორული ოპოზიცია: „ვარდი“ – როგორც ცხოვრების სიამტკბილობა, „ეკალი“ – როგორც ტანჯვა, უსიამოვნება და მათი ურთიერთკავშირი. ხოლო ანდაზაში – „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, ხატი ნაკლებად, თითქმის არ იგრძნობა.

ყველა ეს მახასიათებელი, ნაწილობრივ თუ მთლიანად, ასახვას ჰპოვებს ცნობილი პარემიოლოგების მიერ შემუშავებულ ანდაზის

დეფინიციებში. პირველი ასეთი დეფინიცია, რომელშიც ანდაზის მახასიათებლებია მოცემული, ჩამოაყალიბა ამერიკელმა ბარლეთ უაითინგმა 1932 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “The Nature of the Proverb”, რომელიც მეორედ გამოიცა აშშ-ში 1994 წელს. გთავაზობთ ამ განმარტებას:

„ანდაზა არის გამონათქვამი, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსით გამოხატავს იმ ერის ფუნდამენტურ ბრძნულ ჭეშმარიტებას, რომლის კულტურის წიაღშიც ის არის შექმნილი. ჩვეულებრივად, ანდაზა ფორმით არის მოკლე, რიტმული და ალიტერაციით გამდიდრებული. ზოგიერთი მათგანი პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, ზოგი კი – გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით. რამდენადაც ანდაზები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ილექებოდა ერის ეთნოკულტურაში, იმდენად ხშირია მათი გამოყენება სხვადასხვა ეპოქის მწერლების მიერ საკუთარ ნაწარმოებებში. სწორედ ეს განაპირობებს მათი ვარიანტების არსებობას მცირედი ცვლილებებით (Whiting 1932, p. 302).“

ამ განმარტებაში მოცემულია ანდაზის თითმის ყველა მახასიათებელი: ხალხურობა, გამოცდილების ჭეშმარიტება, სიბრძნე, ლაკონიურობა, რიტმულობა და ალიტერაცია, ფიგურატიული თუ პირდაპირი გამომხატველობა.

ყურადღებას იმსახურებს ანდაზის მიედერისეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ანდაზა განიხილება მოკლე, საყოველთაოდ ცნობილ ხალხურ გამონათქვამად, რომელშიც გადმოცემულია სიბრძნე, ჭეშმარიტება, მორალი და ტრადიციული შეხედულებები მეტაფორულად მყარი და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა (Mider 2004: 119):

„ანდაზა არის მოკლე, საყოველთაოდ ცნობილი, თაობიდან თაობაზე გადაცემული ხალხური გამონათქვამი, რომელშიც

მეტაფორულად, ფიქსირებული და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით არის ასახული ერის სიბრძნე, ჭეშმარიტება, მორალი და ტრადიციული შეხედულებები."

მიედერი ანდაზის დეფინიციას აფუძნებენ პროპოზიციის ცნებას. შესაბამისად, იგი ანადაზას განმარტავს პროპოზიციური სტრუქტურის მქონე მტკიცებად, რომელშიც „თემის“ და „კომენტარის“ საშუალებით ხდება როგორც მსჯელობის საგნის, ასევე იმის დაფიქსირებაც, თუ რა ითქმება მასთან დაკავშირებით (Mieder 2004).

ამჟამად, ანდაზა განიხილება როგორც ტექსტის ნაირსახეობა, რომელიც „სტრუქტურულად, სემანტიკურად და პრაგმატიკულად დასრულებული ენობრივი ერთეულია (დარასელია 1998, გვ. 41)."

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანდაზა წარმოადგენს სპეციფიკური ჟანრის დიდაქტიკური ხასიათის საერთო-სახალხო საკუთრებად ქცეულ ტექსტს, რომელშიც ხატოვნად და ლაკონიური ფორმით გამოხატულებას ჰპოვებს ამა თუ იმ ეთნოკულტურაში საუკუნეების მანძილზე გამოცდილების შედეგად დაგროვილი ფილოსოფიური თუ ცხოვრებისეული საკითხების, ღირებულებების და ადამიანის სხვადასხვა თვისებების ბრძნული განზოგადება.

§2. ანდაზის მიმართება ენის ფრაზეოლოგიურ ფონდთან

ანდაზა – ეს არის რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენი, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსით მკვლევართა ყურადღებას დიდხანია იპყრობს. პარემიოლოგიის რუსი ფუძემდებელი პერმიაკოვი ანდაზის სამ ძირითად ასპექტს გამოყოფს: „ერთი მხრივ, ეს არის მოვლენა ენაში, რომელიც ჩვეულებრივ ფრაზეოლოგიზმს წააგავს, მეორე მხრივ, ის არის ლოგიკური ერთეული მასში თავისი განსჯითა და დასკვნით; ხოლო მესამე

მხრივ, ანდაზა არის მხატვრული მინიატურა, რომელიც რეალობას ასახავს ნათელი და ლამაზი ფორმით (Пермяков, 1970, 8)."

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მიეკუთვნება თუ არა ანდაზა ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს. ანდაზების მიმართება ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან და მათი სიბრტყეზე განხილვა საკამათო საკითხს წარმოადგენს ლინგვისტურ ლიტერატურაში. ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებს შორის არ არსებობს მუდმივი და მყარი ზღვარი, რამდენადაც ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად სწორედ ანდაზებიდან იღებენ სათავეს. მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეული – “the last straw/drop“ („უკანასკნელი წვეთი, მოთმინების ფიალის ამვსები“) – წარმოიქმნა ანდაზებიდან: “The last straw breaks the camel’s back“ („უკანასკნელი ჩალის ღერო აქლემს ზურგს ტეხს“), და “The last drop makes the cup run over“ („ბოლო წვეთი გადაავსებს მო-თმინების ფიალას“). ფრაზეოლოგიური გამოთქმა, “birds of a feather“, ანალოგიურად წარმოიშვა ანდაზიდან: “Birds of a feather flock together“ („გული გულს იცნობს და სული სულს“). “To catch at a straw (straws)“ წარმოიშვა ანდაზიდან – “A drawing man catches straws“ („წყალწაღებული ჩალას/ხავსს ეჭიდებაო.“). ზოგიერთი ანდაზა ადვილად გარდაიქმნება ფრაზეოლოგიურ ერთეულად. მაგ.: “Don’t put all yours eggs in one basket“ („ნუ დააბანდებთ მთელ კაპიტალს/ ფულს ერთად“) გარდაიქმნა ფრაზეო-ლოგიზმად – “to put all one’s eggs in one basket“ („ფულის ერთად დაბანდება“) და ა.შ..

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ზოგი მკვლევარი, მაგალითად ა. ვ. კუნინი, ანდაზებს ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთ სახეობად განიხილავს მათი ლაკონიურობის და სტრუქტურულ-სემანტიკური ფიქსირებულობის გამო (Кунин, 1986, 301). თუმცა უმრავლესობა არაკანონზომიერად მიიჩნევს ანდაზების გაიგივებას ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან. ლინგვისტური ლიტერატურის (Виноградов 1977, Кунин 1986, Ожегов 1999, Чернышева, 1997) განხილვა შესაძლებელს ხდის გამოვყოთ ანდაზისა და

ფრაზეოლოგიზმების განმასხვავებელი შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებები:

1. პირველი არის მათი სტრუქტურული განსხვავებულობა: ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ მზა კონსტრუქტებს (წარმონაქმნებს), რომლებიც, სიტყვის მსგავსად, წინადადებაში ასრულებენ რომელიმე ძირითადი წევრის სინტაქსურ ფუნქციას. ანდაზები კი სტრუქტურულად დასრულებულ წინადადება-გამონათქვამებია, რაც ნათლად ჩანს ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილ ამ მაგალითებშიც: “We never know the value of water till the well is dry“ („წყლის ფასს მაშინ გავიგებთ, როცა ჭა დაშრება“); “Money often unmakes men, who make it“ („ფული ხშირად აფუჭებს ადამიანებს, რომლებიც მას შოულობენ“). როგორც ს.ი. ოჟეგოვი აღნიშნავს, ანდაზა სცილდება ფრაზეოლოგიის ფარგლებს, რადგანაც ის წარმოადგენს აზრობრივად დასრულებულ სიტყვათშეთანხმებას, რომლის დაშლაც შესაძლებელია სინტაქსურად ქვემდებარედ და შემასმენლად, მაშინ როდესაც ფრაზეოლოგიზმები ამგვარ დანაწევრებას არ ექვემდებარებიან (Ожегов 1999).

2. თუ ანდაზებს და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შევადარებთ ფუნქციურ-სემანტიკური ასპექტით, მაშინ განსხვავება მათ შორის კიდევ უფრო აშკარა გახდება. ანდაზები შეიძლება შევადაროთ პატარა იგავებს, რომლებშიც ხალხური გამოცდი-ლება და სიბრძნეა ჩაქსოვილი. ისინი ქადაგებენ მორალს, იძლევიან სხვადასხვა დარიგებას, შეგონებას და გაფრთხილებას; აკრიტიკებენ ადამიანის ისეთ მანკიერ მხარეებს, როგორცაა სიზარმაცე, სიხარბე, მუქთახორობა და სხვა. ანდაზისგან განსხვავებით, ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიცავენ ცალკეულ კონცეპტებს და არა რაიმე მტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ი.ი. ჩერნიშევას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ანდაზებს ვერ მივაკუთვნებთ ფრაზეოლოგიზმებს, რადგანაც ისინი არიან რიტმულად ორგანიზებული ფოლკლორული გამონათქვამები, რომლებსაც დამრიგებლობითი და დიდაქტიკური,

ზოგჯერ კი შემაგულიანებელი, სტიმულის მიმცემი შინაარსი აქვს. სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები ცაკლეულ ცნებებს აღნიშნავენ; ანდაზები კი ლოგიკური ერთეულებია, რომლებიც ამა თუ იმ მოსაზრებას ან წინაპრების გამოცდილებას გამოხატავენ სხარტად და ნათლად. გარდა ამისა, ფრაზეოლოგიური ერთეულები რეპროდუქტიულობით ხასიათდებიან (განუწყვეტლივ იქმნებიან), რასაც ანდაზები მოკლებულნი არიან – ისინი წარმოადგენენ საუკუნეების განმავლობაში ეთნოკლტურაში დამკვიდრებულ ბრძნულ გამოთქმებს (Чернышева, 1997: 78).

3. და ბოლოს, ანდაზები არ მიეკუთვნებიან ენის ფრაზეოლოგიურ ფონდს იმ მიზეზის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ კომუნიკაციის დამოუკიდებელ ერთეულს – მიკროტექსტს, რომლის მთავარი დანიშნულებაც განისაზღვრება გარკვეული დიდაქტიკური ინფორმაციის დამოუკიდებლად მიწოდებით. ფრაზეოლოგიზმების ფუნქცია კი მეტყველებაში შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშვნის ანუ დენოტაციის ფუნქციით. რამდენადაც ისინი აღნიშნავენ მხოლოდ ცალკეულ საგნებს, მოქმედებებს ან ამა თუ იმ თვისებას, ისინი მოკლებულნი არიან დასრულებული აზრის გამოხატვის უნარს, შესაბამისად კი – ინფორმაციის დამოუკიდებლად გადაცემის შესაძლებლობას.

§3. ანდაზის და ხატოვანი გამოთქმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

ანდაზისა და ხატოვანი გამოთქმის ერთმანეთისგან გამიჯვნა აქტუალურ და საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს (Proverb vs Saying). კრებულებში ეს ორი ენობრივი ფენომენი ჩვეულებრივ ერთად არის წარმოდგენილი, რადგანაც მათ მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ და საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ პლატფორმაზე აქტიურად თანამოქმედებენ. საზოგადოდ, ხალხური გამონათქვამის ტიპები ახლოს

დგას ერთმანეთთან, ხალხი მათ არასოდეს მიჯნავდა ერთმანეთისგან. სწორედ ხალხურობა არის ერთ-ერთი ის პრობლემა, რომელიც ართულებს ანდაზების და ხატოვანი გამოთქმების ერთმანეთისგან გამჯვენას.

ზოგი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ანდაზა და ხატოვანი გამოთქმა ერთ სიგნიფიკატურ სფეროს მიეკუთვნება და მათ საერთო ტერმინით მოიხსენიებს: „პარემიები“, „პარემიოლოგიური ფონდი“ ან „პარემიოლოგიური მინიმუმი“ (პერმიაკოვი და სხვ.). თუმცა, ტერმინ „პარემიის“ გამოყენებისას, მკვლევარები მაინც მიიჩნევენ, რომ უმჯობესია პარემიის დიფერენცირება ანდაზებად და ხატოვან გამოთქმებად.

ანდაზასა და ხატოვან გამოთქმას შორის არსებულ განსხვავებებზე საუბრისას, ჰ. კასარესი ანდაზას ახასიათებს როგორც დამოუკიდებელ და დასრულებულ ფრაზას, რომელიც პირდაპირ თუ მეტაფორულად გამოხატავს რამე სახის დარიგებას ან გადმოგვცემს გამოცდილებას. იგი სინონიმურად განიხილავს ტერმინებს „ანდაზა“ და „ხატოვანი გამოთქმა“ (Kacapec 1958: 206). მკვლევარის აზრით, ანდაზა არ ასახავს რაიმე კონკრეტულ მოვლენას, მასში თავიდანვე შეინიშნება ენობრივი დამუშავების ზომიერი ნიშნები, მაშინ როდესაც ხატოვანი გამოთქმა წარმოადგენს სპონტანურ გამონათქვამს, რომელმაც განზოგადებული ხასიათი შეიძინა თაობების მიერ მრავალგზის გამოყენების შედეგად.

პერმიაკოვის კონცეფციაში ანდაზის და ხატოვანი გამოთქმის გამიჯვნა ეფუძნება მათი გრამატიკული სტრუქტურის სამი პარამეტრით ანალიზს. ესენია მათი:

- ჩაკეტილობა – გახსნილობა;
- კონკრეტულობა – განზოგადებულობა;
- მოტივაციის პირდაპირობა – ხატოვნურობა.

პერმიაკოვის აზრით, ანდაზისთვის დამახასიათებელია ლექსემური შედგენილობის სტაბილურობა და სტრუქტურული ჩაკეტილობა, ხოლო ხატოვან გამოთქმებს – სტრუქტურის „გახსნილობა.“ განზოგადებულობის ხარისხის მიხედვით, ანდაზებს განზოგადებული ხასიათი აქვთ, ხატოვან

გამოთქმებს კი კონკრეტული. მაგალითად, ანდაზაში, "The devil is not so black as he is painted", საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა მდგომარეობა ისეთი მძიმე არ იყოს, როგორც ეს გაზვიადებული ჭორების ფონზე ჩანს. მაგრამ ხატოვანი გამოთქმა, "The game is not worth the candle", გამოიყენება ერთი კონკრეტული და არა ყველა თამაშის დახასიათებისათვის.

პერმიაკოვის კონცეფციაში ანდაზისა და ხატოვანი გამოთქმების გამიჯვნის მესამე პარამეტრს წარმოადგენს მოტივაციის პირდაპირობა და ხატოვნურობა. პირდაპირი მოტივაციის ქვეტიპში მკვლევარი აერთიანებს იმ ანდაზებს და გამოთქმებს, რომელთა მნიშვნელობაც გამომდინარეობს მათი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობებიდან. ხატოვნური მოტივაციის მქონე წინადადებების ქვეტიპს კი მიაკუთვნებს იმ პარემიოლოგიურ ერთეულებს, რომელთა მნიშვნელობა ეფუძნება არა შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობებს, არამედ მათი საშუალებით შექმნილ ხატს.

საინტერესოა ა.ვ. კუნინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ანდაზას და ხატოვან გამოთქმას შორის განსხვავება ვლინდება როგორც ანდაზის სტრუქტურის ჩაკეტილობის, ასევე მასში გამოყენებული ქვემდებარის განუსაზღვრელობის და განზოგადებულობის საფუძველზე, რაც შესაბამისად მარკირებულია განუსაზღვრელი ან ნულოვანი არტიკლით (მაგალითად, "A fool at forty is a fool indeed;" "A bad workman quarrels with his tools" = „კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევად“), მაშინ როდესაც ხატოვან გამოთქმაში ქვემდებარეს უკვე განსაზღვრული ხასიათი აქვს, რის გამოც მისი აქტუალიზება ხდება უკვე განსაზღვრული არტიკლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანდაზას და ხატოვან გამოთქმას შორის განსხვავება ემყარება სტრუქტურულ, სემანტიკურ და სტრუქტურულ-სემანტიკურ კრიტერიუმებს. სტრუქტურულად ანდაზას წინადადების ფორმა აქვს, ხოლო ხატოვანი გამოთქმა წინადადების კომპონენტს წარმოადგენს. სემანტიკური

კრიტერიუმის მიხედვით, ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობებიდან, ხოლო ანდაზის მნიშვნელობა მათ ეფუძნება; სტრუქტურულ-სემანტიკურად ის შეიძლება მთელი მოთხრობის მიკროტექსტური ეკვივალენტიც კი იყოს.

§4. ანდაზისა და აფორიზმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

ანდაზებისა და აფორიზმების გამიჯვნის საკითხი საკმაოდ სადავოა. მრავალ ნაშრომში აფორიზმებს ანდაზის კატეგორიას მიაკუთვნებენ. არჩერ ტეილორის აზრით, აფორიზმი ანდაზის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს. იგი ახდენს ანდაზების დიფერენცირებას ხალხურ და ლიტერატურულ ტიპებად, რა დროსაც აფორიზმს განიხილავს როგორც ლიტერატურულ ანდაზას. ტეილორი ასევე გამოყოფს ანდაზების და აფორიზმების საერთო მახასიათებლებს შემდეგი პარამეტრების მიხედვით (Taylor, 1975, 24):

- **შინაარსის მიხედვით:** ეს არის მათი ფილოსოფიური სიღრმე, დიდაქტიკურობა, პრეტენზია ჭეშმარიტებაზე;
- **ფორმის მიხედვით:** ლაკონიურობა, ფორმის სტაბილურობა, წინადადების ფორმით სტრუქტურირება;
- **ფუნქციის მიხედვით:** ავტოსემანტიკურობა, ფართო გამოყენება, მათ შორის ციტატის სახით;
- **ჟანრის მიხედვით:** ორივე, ანდაზა და აფორიზმი მცირე ჟანრის ნაწარმოებებს მიეკუთვნება;
- **ფუნქციური დანიშნულების მიხედვით:** მათი მიზანია დამოუკიდებელი ფუნქციონირება გარკვეულ თემატურ სიტუაციებში;
- **აქსიომატურობა:** ამ თვისების გამო, მეტყვევლი სუბიექტი თავისუფლდება მის მიერ გამოთქმული აზრის დასაბუთებისგან,

ვინაიდან არგუმენტის როლი გადაეცემა აფორიზმულ ან ანდაზურ გამონათქვამს.

მიუხედავად მსგავსი მახასიათებლებისა, აფორიზმებსა და ანდაზებს შორის განსხვავებებიც არსებობს:

1. მოცემული ერთეულების გამიჯვნის მთავარ საფუძვლად გამოყოფენ ეტიმოლოგიურ მახასიათებელს. აფორიზმისათვის დამახასიათებელია „გამჭვირვალე“ ეტიმოლოგია, რადგანაც აფორიზმი წარმოადგენს ცნობილი ადამიანების, მოაზროვნეების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და პოეტების გამონათქვამს ან ციტატას ცნობილი ნაწარმოებიდან (მაგალითად, ბიბლიიდან), რის გამოც ეს ფრაზები ასოცირდება კონკრეტულ ავტორთან ან მხატვრულ ტექსტთან. ანდაზებს კი, პირიქით, „ფარული ეტიმოლოგია აქვთ – მათ არ გააჩნიათ ციტატის სტატუსი, რამდენადაც უცნობია იმ პირველწყაროს ავტორი, რომელთანაც ეს ფრაზა ასოცირდება (Rogers, 1994: 34).“

2. ანდაზებისა და აფორიზმების განმასხვავებელი კიდევ ერთი ნიშანი არის ანდაზის ფართო, მასიური გამოყენება. აფორიზმში დაცულია მისი შემქმნელის საავტორო სტილი და მისი წარმოქმნის ისტორიული და სპეციფიკური წინაპირობა. ანდაზისგან განსხვავებით, აფორიზმი არ არის განზოგადებული.

3. აღსანიშნავია ასევე, რომ ანდაზისგან განსხვავებით, აფორიზმისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი გადატანითი მნიშვნელობა ანუ მეტაფორულობა. უმეტეს შემთხვევაში, აფორიზმი გამოიყენება კონკრეტული, პირდაპირი მნიშვნელობით, ანდაზებს კი ახასიათებთ ზოგადი მნიშვნელობის გადატანითი მოტივაცია.

4. განსხვავება ანდაზასა და აფორიზმს შორის ყველაზე ნათლად მათ ხალხურ და ლიტერატურულ ფორმებს შორის ვლინდება. აფორიზმი ლიტერატურული ფორმაა, ხოლო ანდაზა – ხალხური ზეპირსიტყვიერების. შესაბამისად, ანდაზას უფრო მარტივი სინტაქსური ფორმა აქვს და, როგორც

წესი, რიტმულია; ხოლო აფორიზმებისთვის უფრო რთული სინტაქსური სტრუქტურაა დამახასიათებელი.

5. საინტერესოა ქართველი მკვლევარების მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ფარნაოზ ერთელიშვილი (1957) არ ეთანხმება ანდაზისა და აფორიზმის განსხვავების ამ კრიტერიუმს და ანდაზის ერთ-ერთ დიფერენციალურ ნიშნად მიიჩნევს არა ხალხურობას, არამედ მისი ხალხში გავრცელების ხარისხს. შესაბამისად, ავტორი ანდაზად მიიჩნევს ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა: „ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“ (დავით გურამიშვილი), „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (შოთა რუსთაველი) და სხვა. მსგავს აზრს ავითარებს მანანა რუსიეშვილიც, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველა ხალხურ ნათქვამს ჰყავს ერთი ავტორი, მაგრამ არსებითი განსხვავება ხალხურსა და არახალხურს შორის არის ის, რომ ხალხურში ავტორი არ იგულისხმება, და არც არის რელევანტური, რადგანაც იგი სახალხო კუთვნილებად აღიქმება. რუსიეშვილის აზრით, შეიძლება დადგეს დრო, როდესაც რუსთაველის ყველაზე პოპულარული და ბრძნული აფორიზმების წარმოთქმის დროს, ადამიანს აღარც გაახსენდეს მისი ავტორი, თუნდაც ეს ძალიან კარგადაც იცოდეს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანდაზებს და აფორიზმებს მრავალი მახასიათებელი აერთიანებს, თუმცა მათ შორის არსებობს მეტაფორული, სტრუქტურული და ეტიმოლოგიური განსხვავებებიც.

§5. ანდაზის კვლევის კოგნიტური ასპექტი და მისი მიმართება მეტაფორიზაციის ფენომენტთან

ანდაზების კვლევის კოგნიტური ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონცეპტუალური მეტაფორის ცნებასთან, რომელიც გასული საუკუნის 70-იან – 80-იან წლებში შეიმუშავეს ამერიკელმა კოგნიტივისტებმა ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა. მათმა ერთობლივმა ნაშრომმა "Metaphors We Live By" (1980), რომელშიც ჩამოყალიბებულია კოგნიტური მეტაფორის თეორია, სტიმული მისცა მეტაფორიზაციის, როგორც ეროვნული აზროვნების ფორმის ერთ-ერთ გამოხატულებას სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის ფრაზეოლოგიასა და პარემიოლოგიაში.

ეს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მეტაფორა არ არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, რომელიც მეტყველებას ემოციურობას და ექსპრესიულობას ანიჭებს; არამედ „მეტაფორა შეაღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არა მარტო ენაში, არა-მედ აზრსა და ჩვენს ქმედებაშიც. ჩვენი კონცეპტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით (Lakoff, Johnson, 1980, p. 3).“ მათი აზრით, კოგნიტურ (კონცეპტუალურ) მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის საერთო სახალხო მეტაფორული აღქმა, რომელიც სამიზნე ცნებასა და წყარო ცნებებს შორის არსებულ ასოციაციურ კავშირებს ეფუძნება, რის გამოც მასში ასახვას ჰპოვებს სოციუმის კულტურა, ეთნოფსიქოლოგია, მსოფლხედვა და ემპირიული გამოცდილება. კოგნიტური მეტაფორიზაციის შედეგად იქმნება სამყაროს ენის-მიერი ხატი, რომელშიც უფრო რთული, აბსტრაქტირებული ცნებების შემეცნება ხდება შედარებით მარტივი და იოლად აღქმადი ცნებებით (მაგალითად, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს ადარებენ აზარტულ თამაშს, სპორტულ შეჯიბრს; საწარმოო კონფლიქტებს – ომს; სიყვარულს – ავადმყოფობას, ხანძარს; მსჯელობას – მოგზაურობას, და ა.შ.). ანალოგიურ აზრს ანვითარებს მაკკორმაკი (Маккормак, 1990, 359).

ანდაზა არის ის ერთეული, რომელსაც გამოცდილების გაზიარებისათვის უაღრესად მოსახერხებელი ფორმა აქვს (რიტმულობა, ლაკონიურობა, სიმარტივე და სხვ.). იგი იქმნება ადამიანთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ გარკვეულ მოვლენებზე, სიტუაციებსა და გრძნობებზე და უშუალოდ გამოხატავს ენობრივი კოლექტივის წევრთა კოგნიტურ პროცესებს.

ანდაზა გააზრებულად, გაცნობიერებულად მიგვითითებს წინათაობების მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე. სწორედ ეს არის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ანდაზასა და მეტყველების პროცესში ჩამოყალიბებულ წინადადებას შორის. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: პატარა ჯეკი ტყეში დათვს გაიცნობს. ისინი გადაწყვეტენ ღამე გაათიონ პატარა სახლში, რომელიც ორ მოხუცებულ ქალბატონს ეკუთვნის. ჯეკი გრძნობს, რომ ქალბატონებს, სახლსა და დათვს საერთო საიდუმლო აკავშირებთ და ცდილობს ფარდა ახადოს ამ საიდუმლოს, თუმცა სხვა ზღაპრების მსგავსად, აქაც რთულია ყველა კითხვაზე პასუხის მიღება. ხალხური სიბრძნე კი გვასწავლის, რომ ბევრი შეკითხვების დასმა შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. სწორედ ამგვარი საფრთხის არსებობაზე მიაჩნებინებს ჯეკს მოხუცი ქალბატონი ანდაზის მოშველიებით – "Ask no questions and you'll be told no lies:"

" 'Where's the bear?' asked Jack sleepily as he lay down, for he suddenly realized that he had not seen it since he came into the house.

"That's as may be', answered the first little old woman.

'Ask no questions and you'll be told no lies,' said the second little old woman. (English Fairy Tales, *How Jack Went to Seek His Fortune*)"

მხატვრულ ტექსტში ანდაზები ხშირად აზუსტებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ ტიპურ სიტუაციებს. ისინი განაზოგადებენ

კონკრეტულ სიტუაციებს ხალხში დაგროვილი სიბრძნით, რომელიც მოცემული სიტუაციის პროტოტიპად გვევლინება (Пермяков: 1975, 247-274).

3. პალმერის აზრით, ანდაზა კულტურული პოსტულატების ნაირსახეობაა, რომელიც თავისი კოგნიტური სტატუსით პროპოზიციული მოდელის (ექსტრალინგვისტური სიტუაციის აზრობრივი სქემის) ანალოგს წარმოადგენს. ეს მოდელი აყალიბებს ცოდნას სამყაროს შესახებ. მისი აზრით, პოსტულატი არის ფოლკლორული ფილოსოფია, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ანდაზებში, აფორიზმებში, სენტენციებსა და მაქსიმებში. ეს ენობრივი ერთეულები მრავალი თაობის გამოცდილების და ცოდნის მატარებლები არიან და ეთნოსის შემეცნებით სპეციფიკას გამოხატავენ.

ანდაზების მეტაფორულ მოდელში რეალობის კონცეპტუალიზაცია ემყარება ენობრივი ერთეულების კატეგორიალური მნიშვნელობის ცვლილებას, რა დროსაც ერთი კატეგორიის მეშვეობით ხდება მეორის კონცეპტუალიზაცია, ხდება ორი კოგნიტური სფეროს შერწყმა. მეტაფორა მოცემულ სფეროებს აერთიანებს აზროვნების ერთ სივრცეში. ამ წარმოსახვითი ასპექტის წყალობით ადამიანს უმძაფრდება აზროვნება და შეუძლია მეტი ინფორმაცია მიიღოს წარმოდგენილი კონცეპტის შესახებ.

ხშირი გამოყენების გამო, ენის ანდაზური ფონდის ზოგი მეტაფორა კარგავს თავის გადატანით მნიშვნელობას და „მკვდარ“, „გაცვეთულ“ მეტაფორად გვევლინება. ადამიანის ენობრივი სემანტიკა და კონცეპტუალური სისტემა მეტაფორულ ხასიათს ატარებს. კოგნიტური ლინგვისტიკის ამ დებულების დასტურია ის ფაქტი, რომ მრავალ ანდაზას საფუძვლად მეტაფორა უდევს.

ანდაზის მეტაფორულ მოდელებში ხდება ორი რაობის ერთმანეთთან შედარება ან გაიგივება. მაგალითად, ანდაზაში – “A guilty conscience needs no accuser” – სიტყვა „conscience“ გამოყენებულია „კაცის“ მნიშვნელობით მეტონიმურად, რომელიც ნა-წილისა და მთელის ურთიერთობებს

ემყარება. შედარების შედეგად ვლინდება დამოკიდებულება მოცემულ ცნებებს შორის, რაც გვეხმარება იმ ძირითადი მახასიათებლის გაგებაში, რომელიც კონცეპტის მეორად, მეტაფორულ ნომინაციას უდევს საფუძვლად.

სამყაროს ორი სურათის თანადროული წარმოდგენის შედეგად შესაძლებელი ხდება ორი ხატის ერთად დანახვა. პირველი სურათი – ეს არის რეალობის პირდა-პირი აღქმა, რომელიც ექსპლიციტურ მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული და მოცემულ ენობრივ ერთეულებში მას კონკრეტული, ლექსიკურ-გრამატიკული გამოხატულება აქვს. სამყაროს მეორე სურათი კი – რეალობის ორიგინალური ხედვაა, რომელიც მიიღწევა სამყაროს პირველი სურათის, როგორც რეალური სიტუაციის თავდაპირველი გამოხატვის, ხატოვანი გადააზრების შედეგად.

მეტაფორული ანდაზის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი მასში გამოყენებული იმ ლინგვისტური ხერხების ნაირსახეობაა, რომლებიც მისი კონცეპტუალური არსის აქტუალიზაციისთვის გამოიყენება. ლექსიკურ დონეზე, ანდაზებისთვის დამახასიათებელია ანტონიმური წყვილების ("Better an open enemy than a false friend") და გამეორების ("Easy come, easy go") გამოყენება. ფონეტიკურ დონეზე კი ასეთ მახასიათებლებს წარმოადგენს რითმა ("After dinner sit a while, after supper walk a mile") და ძირეული ხმოვნის მონაცვლეობა ("Every bullet has its billet"). სინტაქსურ დონეზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ანდაზა-იმპერატივები (მაგალითად, "Stretch your legs according to the coverlet!", რომელშიც ზმნა ორ რაობას ერთმანეთთან აკავშირებს).

ამრიგად, კოგნიტური მიდგომა გულისხმობს გარკვეულ ცოდნას სამყაროს შესახებ, გვიჩვენებს სამყაროს აღქმის თავისებურებებს, რომელიც მოცემული სოციუმისათვის არის დამახასიათებელი. ანდაზა, რომელშიც წარმოდგენილია თაობების გამოცდილება და ცოდნა, პირდაპირ ასახავს ენობრივი კოლექტივის კოგნიტურ პროცესებს. იგი, როგორც მეორადი

ნომინაციის ერთეული, ადამიანის ცნობიერებაში რეალობის გარდატეხის
შედეგად, ახდენს ცოდნის კოგნიტურ სახეცვლილებას.

თავი 2

ინგლისურ ანდაზათა თემატური ჯგუფები, მათი სემანტიკა და სტილისტური თავისებურებები

§1. შეფასების კომპონენტი ინგლისურ ანდაზებში. დადებითი და უარყოფითი ანდაზების სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები ანგლოფონურ კულტურაში

ხალხური სიბრძნე თაობიდან თაობას გადაეცემა ანდაზების საშუალებით. ანდაზის სემანტიკაში მოცემულია ინფორმაცია ნაციონალურ კულტურაში დაგროვილი ცოდნისა და სიბრძნის შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა ერის ცნობიერებაში ამა თუ იმ მოვლენის ახალი გამოცდილების შედეგად. ანდაზები არის საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების თავისებური კრებული, სადაც მოკლე და ყველასთვის გასაგები ენით ასახვას ჰპოვებს სოციუმის ის ღირებულებები, რომელიც შემუშავდა თაობების გამოცდილებისა და აღზრდის, მათი საქმიანობისა და ურთიერთობების პროცესში.

ანდაზა – ეს არის შეფასებითი ერთეული, რომელშიც ნათლად ჩანს, რა არის ადამიანისთვის ღირებული, რას მიიჩნევს იგი დასაგმობ ან კარგ საქციელად, რის მიმართ არის ის ინდიფერენტული და ა.შ.. განზოგადებულად რომ ვთქვათ, ანდაზაში ასახვას ჰპოვებს ადამიანის დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების, კარგის და ცუდის მიმართ.

ნებისმიერი ენის ანდაზურ ფონდს გააჩნია ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა. ანდაზა, როგორც ერის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გამომხატველი ერთეული, დღესაც არ კარგავს აქტუალურობას ინტერდისციპლინური კვლევების თვალ-საზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ანდაზა სტრუქტურულად მოკლე წინადადებას წარმოადგენს, ეს არის დასრულებული გამონათქვამი – ტექსტი, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია ფუნქციონირება ინფორმაციის გადაცემის მიზნით.

მეტაფორული ანდაზის ძირითადი ინფორმაციული შინაარსის გადმოცემა ხორციელდება პრედიკატული ნიშნის საშუალებით და რთულდება კონოტაციური მნიშვნელობის მთელი კომპლექტით. ამ კომპლექტში ყველაზე მნიშვნელოვანია დადებითი ან უარყოფითი შეფასებითი არსი. დადებითი ანდაზები წახალისებას გამოხატავენ, ხოლო უარყოფითი – გაკიცხვას. ანდაზის დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები ვლინდება როგორც ანდაზის ცალკეული შემადგენელი ნაწილების, ასევე მთლიანი ანდაზის და კონტექსტის საშუალებით.

დადებითი და უარყოფითი ანდაზები თავისი შინაარსით გამოხატავენ ადამიანის სხვადასხვა ნიშან-თვისებას და თითქმის მთლიანად კონცენტრირებულნი არიან თავად ადამიანზე. მაგალითისთვის მოვიყვანთ ანდაზებს, სადაც დადებითად არის დახასიათებული და აღწერილი ადამიანის შემდეგი თვისებები:

- **პატიოსნება, ბეჯითობა, შრომისმოყვარეობა, ზრდილობა:** “Honesty is the best policy”; “Diligence is the mother of success”; “All doors open to courtesy”;
- **მოთმინება და კეთილგონიერება:** “Don't sell the bear's skin before you've caught it”; “Don't halloo till you are out of the wood”; “Don't cross the bridge before you come to it”; ა.შ.,
- **ადამიანის ურთიერთობა ოჯახთან, კოლექტივთან და საზოგადოებასთან:** “A good wife makes a good husband”; “A good Jack makes a good Jill”; “A good dog deserves a good bone”; “Good masters makes good servants”;

საილუსტრაციოდ მოგვყავს ასევე უარყოფითი შეფასების გამომხატველი ანდაზები, რომლებშიც დაგმოზილია ადამიანის ისეთი მანკიერი თვისებები, როგორცაა:

- **უგუნურობა და უსაქმურობა:** “An idle brain is the devil's workshop”; “Idleness rusts the mind”;

- მდიდრების ეგოიზმი და დაუსჯელობის სინდრომი: “Laws catch flies, but let hornets go free“; “One law for the rich, and another for poor“; “Honours change manners“;
- ყბედობა: “A tattler is worse than a thief“; “A man of words and not of deeds is like a garden full of weeds“;
- გმოხენ კეთილშობილური გარეგნობის მიღმა დამალულ ბოროტებას: “A honey tongue, a heart of gall“; “Velvet paws hide sharp claws“; “A fair face may hide a foul heart“; “Pleasure has a sting in its tail“; “Beware of a silent dog and still water“; “All are not saints that go to church“.

აღსანიშნავია, რომ სამეტყველო სიტუაციიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ანდაზა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი. მაგალითად, ანდაზაში, “Everything comes to him who waits“ („ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.“), შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის მოლოდინში და რას ელის. თუ ადამიანი ელოდება კარგ ამბავს, მაშინ მისი დადებითი იმედები გამართლდება. მაგრამ, თუ ანდაზას ირონიულად წარმოთქვამს არაკეთილსინდისიერი ადამიანი, მაშინ ანდაზა უარყოფით შეფასებას იძენს (არაკეთილგანწყობილი ადამიანი ჩასაფრებული პოზიციიდან იმედოვნებს, რომ სხვას ცუდი ამბავი ელის). შემდეგ ანდაზებში რთულია ადამიანის დახასიათება-შეფასება სიტუაციის ან კონტექსტის გათვალისწინების გარეშე: “The work shows the workman“, “A bird may be known by its song“ („ადამიანი საქმით იცნობა“), “A man is known by the company he keeps“ („მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.“). თუ სიტყვებს, workman, song, company, დადებითი მნიშვნელობა აქვთ, მაშინ ანდაზები ავტომატურად წამახალისებელია. ხოლო თუ ისინი უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ ანდაზებიც უარყოფითია.

ანდაზის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ერთ გამოთქმაში ორი მნიშვნელობის შერწყმა. მნიშვნელოვანია აგრეთვე

ურთიერთობა ანდაზის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის, ანუ ტროპის ტიპი.

ინგლისურენოვანი ანდაზების უმეტესობა მეტაფორულია. მეტაფორას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობა. როგორც კუნინი აღნიშნავს, ზოგიერთ ანდაზას მთლიანი ან ნაწილობრივ გადატანითი მნიშვნელობა აქვს (Кунин, 1986: 302). მთლიანად გადატანითი მნიშვნელობის მქონე ანდაზების პირდაპირი მნიშვნელობა შეიძლება არარეალურ ფაქტს გამოხატავდეს, ხოლო მათი მეტაფორული მნიშვნელობა დადებითი ან უარყოფითი იყოს.

ასე, მაგალითად, ინგლისურენოვანი ანდაზა, “Blind men can judge no colours“, მთლიანად გადატანითი მნიშვნელობისაა და მეტაფორულად უარყოფითად აფასებს ადამიანის სიჯიუტეს. მასში აღწერილია ჯიუტი ადამიანი, რომელიც ყურს არ უგდებს სხვის რჩევებს და ყოველთვის, მაშინაც კი, როცა მართალი არ არის, აზრს არ იცვლის. ადამიანის ასეთი გამკიცხავი დახასიათება ანდაზას უარყოფით მნიშვნელობას სძენს. შემდეგი ინგლისურენოვანი ანდაზა კვლავ მეტაფორულად გმობს და უარყოფითად ახასიათებს ზარმაც ადამიანს: “A cat in gloves catches no mice“ („ზარმაცი ადამიანი ვერასოდეს იშოვის რამეს“).

მეტაფორული ანდაზის, “Hungry bellies have no ears“, პირდაპირი მნიშვნელობა ადამიანის ფიზიოლოგიას აღწერს: „მუცელს ყურები არ აქვს“. ანდაზის გადატანითი მნიშვნელობა კი მას უარყოფით მნიშვნელობას სძენს, რადგანაც მასში აღწერილია მშიერი ადამიანი, რომელიც არავის უგდებს ყურს და საჭმლის მიღების მიზნით შეუძლია მორალურ და ეთიკურ ნორმებსაც კი გადააბიჯოს. უარყოფითი მნიშვნელობა შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი ინგლისურენოვანი ანდაზის გადატანით მნიშვნელობაშიც: “A drowning man will catch at a straw“. მასში საუბარია ადამიანზე, რომელსაც საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით შეუძლია საზოგადოებაში მიღებული მორალური და ეთიკური ნორმები დაივიწყოს, რომელიც არაფერზე იხევს უკან.

უარყოფითი შეფასებაა მეტაფორულად გამოხატული ანდაზაში, რომელშიც დაგმობილია ყბედი ადამიანის დაუფიქრებლობა: “A fool's tongue runs before his wit“, მეტაფორულად არის გაკიცხული ასევე სახელგატეხილი ადამიანი ანდაზაში – “He that has an ill name is half hanged“ („თავის გატეხვა სჯობს სახელის გატეხვას“).

ინგლისურენოვანი ანდაზა - “His money burns a hole in his pocket“ („ჯიბეში ფული არ უჩერდება“), კიცხავს ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია დანაზოგის შენახვა და მთლიანად ხარჯავს მას. ეს მნიშვნელობა ანდაზას უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს. ანალოგიური უარყოფითი შეფასებითი არსი შეგვიძლია შევნიშნოთ ქვემო-მოყვანილ, გადატანითი მნიშვნელობის მქონე მეტაფორულ ანდაზებში:

“Hard words break no bones“ (ანდაზა გმობს ადამიანებს, რომლებიც დაუმსახურებლად ლანძღვენ სხვებს; "ენას ჭკვალი არ მოედებაო!");

“Idleness rusts the mind“ (კიცხავს სიზარმაცეს, უსაქმურობას; „უსაქმურობისგან /ხავსი მოეკიდაო.“);

“Lies have short legs“ (გმობს ტყუილს; "ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.");

“Care killed the cat“; „Too many cooks spoil the broth“ (გმობს ზედმეტ ზრუნვას, რამაც შესაძლოა ცუდი შედეგი გამოიღოს);

“When wine is in, wit is out“ (გმობს ლოთობას).

ანდაზის გადატანითი მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი. მაგალითად, ანდაზა, “One cannot square the circle“, დადებით რჩევას აძლევს ადამიანს, რომელსაც სურს შესცვალოს ის, რისი შეცვლაც არ ძალუძს. თუმცა ზოგჯერ კონტექსტის ან სიტუაციის გარეშე ძნელია იმის დადგენა რომელი შეფასება რეალიზდება ანდაზაში. ასეთია, მაგალითად, ანდაზა: “Dog does not eat dog“.

ინგლისურენოვანი ანდაზის – “A clear conscience laughs at false accusation“ – მეტაფორული მნიშვნელობა ასეთია: თუ ადამიანს არაფერი დაუშავებია, მაშინ შიშის საფუძველიც არ აქვს. რწმენა საკუთარ

სიმართლეში, რაც აშკარაა ანდაზის მთლიანი გადააზრების შემდეგ, მას დადებით შეფასებით არსს სძენს. დადებითია შემდეგი ანდაზაც – “Many hands make light work“. ანდაზის გადატანითი მნიშვნელობა გვეუბნება, რომ სამუშაოს გუნდურად შესრულება უფრო ადვილია. შესაბამისად, ანდაზა მოუწოდებს სამუშაოს მეგობრულად შესრულებისკენ, რაც მას დადებით შეფასებით არსს ანიჭებს.

მეტაფორულად დადებითი მნიშვნელობის გამომხატველია ასევე შემდეგი ინგლისურენოვანი ანდაზები:

“Honesty is the best policy“ (აქებს პატიოსნებას);

“Many hands make light work“ (აქეზებს სამუშაოს გუნდურად შესრულებას);

“Caution is the parent of safety“ (მხარს უჭერს ყაირათიანობას).

არსებობს შერეული ტიპის ანდაზები, რომლებშიც სიტყვების უმრავლესობა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება, თუმცა ანდაზას მეტაფორულობას ანიჭებს და უარყოფით ან დადებით შეფასებითობას სძენს ერთი რომელიმე კომპონენტის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება. ასეთია, მაგალითად – “A bad workman quarrels with his tools“, სადაც სიტყვები “workman“ და “tools“ პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ როდესაც ლექსემა “quarrel“ („ჩხუბი“) მეტაფორულობას სძენს გამონათქვამს – „ცუდ მუშას სამუშაოს შესრულება არ ეხერხება.“

ანდაზაში, „He that has a great nose thinks everybody is speaking of it“, ზედსართავი სახელის – “great“ – გამოყენება მეტაფორულს ხდის მთელ მის შინაარსს, რამდენადაც ამ კონტექსტში ის გამოხატავს უპატიოსნებას, რის გამოც ადამიანს მოსვენება აქვს დაკარგული. ანდაზაში, “He that has an ill name is half hung“, პირდაპირი მნიშვნელობით სიტყვა, “hung“, ნიშნავს „ჩამოხრჩობას“, ხოლო მეტაფორული მნიშვნელობით მოცემული ანდაზა გმობს ადამიანებს, რომელბმაც აუგი საქციელით საკუთარ სახელს ზიანი მიაყენეს.

ქვემოთ მოგვყავს ნაწილობრივ გადატანითი მნიშვნელობის მქონე ანდაზები, რომლებშიც დადებითი შეფასებაა გამოხატული:

ანდაზაში – “Better go in bed supperless than rise in debt” – კომპონენტებს “go in bed supperless“ და „rise in debt“ აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა: „ვახშმის გარეშე დაძინება“ და „ვალებით გაღვიძება“. მაშინ როდესაც ამ ორი განსხვავებული ხდომილების შედარება კონსტრუქციით Better ... than ქმნის ანდაზის მეტაფორულ მნიშვნელობას: „სჯობს გარკვეულ ნივთებზე და ფუფუნებაზე უარი თქვა, ვიდრე ვალებში იცხოვრო“. ანდაზაში – “A quiet conscience sleeps in thunder“ – პირდაპირი მნიშვნელობით “sleeps in thunder“ ნიშნავს „ქუხილში ძილს“. ხოლო ამ სიტყვების მეტაფორული მნიშვნელობა ანდაზას შემდეგ შინაარსს ანიჭებს: "თუ ადამიანს სინდისი სუფთა აქვს და სხვა ადამიანისათვის ზიანი არ მიუყენებია, მაშინ იგი მშვიდად ცხოვრობს".

ანგლოფონურ კულტურაში არსებობს ისეთი ანდაზებიც, სადაც მეტაფორული მნიშვნელობა ყველაზე ნაკლებად არის გამოხატული. ეს ძირითადად ის ანდაზებია, რომლებიც საყოველთაოდ მიღებულ ფაქტებს გამოხატავენ. ამ ტიპის ანდაზებია:

“All is well that ends well“; “After dinner sit (sleep) a while, after supper walk a mile“; “An apple a day keeps the doctor away“; “Appetite comes with eating“; “Early to bed and early to rise makes a man healthy, wealthy and wise“; “Go to bed with lamb and rise with lark“; “Live and learn“; “Promise little, but do much“; “Repentance is good, but innocence is better“; “Take care of the pence and the pounds will take care of themselves“; “What is lost is lost“; “What must be must be“.

ინგლისურენოვან მეტაფორულ ანდაზებში ხშირად გვხვდება გაპიროვნება, რომელიც მეტაფორის ნაირსახეობას წარმოადგენს და გულისხმობს აბსტაქტული ცნებისთვის ან უსულო საგნისთვის ადამიანური თვისებების მიწერას, რის შედეგადაც ანდაზის შინაარსი იძენს დადებით ან უარყოფით შეფასებით არსს.

ინგლისურენოვან ანდაზაში, “Many words hurt more than swords“, ზმნა, “hurt“, გულისხმობს იმას, რომ ხშირად სიტყვები უფრო დიდ ტკივილს აყენებს ადამიანს ვიდრე ხმლით მიყენებული ჭრილობა. შესაბამისად, ანდაზაში დაგმობილია დაუფიქრებელი ლაპარაკი, რომელსაც შეუძლია მორალურად გაანადგუროს ადამიანი. ინგლისურენოვან ანდაზაში, “Opportunity makes the thief“, გაპიროვნებამ ანდაზა უარყოფითი შეფასებითი არსის გამომხატველი გახადა. ანდაზაში ზმნა, “makes“, გულისხმობს „შექმნას“, თუმცა ეს ქმედება ხორციელდება არა ადამიანის ხელით, არამედ შემთხვევის წყალობით, რის შედეგადაც საბოლოოდ ყალიბდება ცუდი ადამიანი. ანდაზაში, “Care killed the cat“, ნაჩვენებია, რომ ადამიანის ზრუნვა შეიძლება მომაკვდინებელი იყოს (სწორედ აქ ვლინდება გაპიროვნება). ანდაზაში ზრუნვას უარყოფითი შეფასებითი არსი აქვს მინიჭებული, რადგანაც იგი გაიგივებულია მკვლელობასთან, რაც თავისთავად უარყოფითად აღიქმება.

ინგლისურ ანდაზებში გაპიროვნება შეიძლება იყოს დადებითი არსის გამომხატველიც. მაგალითად, “Good clothes open all doors“; “Experience keeps no school, she teaches her pupils singly;“ “All doors open to courtesy“. ამ ანდაზებში მოქმედებას ასრულებს არა ადამიანი, არამედ უსულო საგნები ან აბსტრაქტირებული ცნებები, რასაც ბოლო ჯამში კარგი შედეგისკენ მივყავართ („აღებს ყველა კარს“, „ასწავლის ადამიანს“).

მეტაფორიზებულ ანდაზებში ხშირად ხალხური ბრძნული ცოდნა გადმოიცემა ორი საგნის ან ხდომილების შედარება-შეპირისპირების განზოგადების შედეგად, რაც ჩვეულებრივ გამოიხატება კონსტრუქციით better than, რომელიც გამოიყენება ორივე – დადებითი და უარყოფითი, შეფასებითი არსის მქონე ანდაზებში. მაგალითად: “Better a lean peace than a fat victory“; “Better a glorious death than a shameful life“; “A good name is better than riches“; “Better to do well than to say well“, ა.შ.;

მეტაფორა, ისევე როგორც ინგლისურენოვან ანდაზებში გამოყენებული სხვა სტილისტური ხერხები, ავლენს ანდაზის უარყოფით

და დადებით შეფასებით არსს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, ანდაზები დავყოთ უარყოფით და დადებით სემანტიკურ კლასებად. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მეტაფორიზებულ ანდაზებს ისეთ დადებითი მნიშვნელობის მქონე ცნებით სფეროებში, როგორცაა სიყვარული, მეგობრობა, სახლი (home) და ოჯახური ურთიერთობები.

§2. სიყვარულის თემაზე შექმნილი ინგლისურენოვანი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა

ინგლისურენოვანი ანდაზები სიყვარულის თემაზე ჩვეულებრივ გამოხატავენ ემოციურ მიზიდულობას საპირისპირო სქესის მიმართ. მაგალითად:

"All is fair in love and war; When poverty comes in at the door, love flies out at the window; Absence makes the heart grow fonder; The heart that once truly loves never forgets, Love will creep where it may not go; Lucky at cards, unlucky in love; He that has no children knows not what love is; Beauty lies in lover's eyes; The heart that once truly loves never forgets; Faults are thick where love is thin; Love me, love my dog; Love is neither bought nor sold; Love should not be all on one side; Love cannot be forced; Each bird loves to hear himself sing; Beauty lies in lover's eyes; Love is blind, as well as hatred; The falling out of lovers is the renewing of love; Salt water and absence wash away love; etc."

ნამდვილი სიყვარული სიდუხჭირესაც უძლებს, რაზეც მეტყველებს ანადაზა: "Love in a cottage", რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ

„სიყვარულთან ერთად ქოხშიც ბედნიერად შეიძლება ცხოვრება“. თუმცა არსებობს ამ ანდაზის ანტონიმური ანდაზა – “When poverty comes in at the door, love flies out at the window“, რომელშიც საპირისპირო აზრია გატარებული; კერძოდ ის, რომ როდესაც ოჯახში სიღარიბე შემოდის, სიყვარული ქრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურენოვან ანდაზებში ლაპარაკია როგორც მამაკაცსა და ქალს შორის სიყვარულზე, ასევე სიყვარულზე საკუთარი თავის მიმართაც. მაგალითად: “Each bird loves to hear himself sing“.

სიყვარულის ისეთი ძლიერი გამოხატულება, როგორცაა ვნება, ასახვას ჰპოვებს შემდეგ ანდაზებში: “Love is blind, as well as hatred“; “Absence makes the heart grow fonder“; “Faults are thick where love is thin“. თუმცა, არსებობს ისეთი ანდაზებიც, რომელთა სემანტიკაშიც სიყვარულის არქონა ნეგატიურ კონტექსტში განიხლება: “Salt water and absence wash away love“; “Love cannot be forced“, ა.შ.

ზოგ ანდაზაში სიყვარულის დახასიათება ხდება უარყოფითი სემანტიკის მეორე ემოციებთან შეპირისპირებით. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი ანდაზები: “Hatred is blind, as well as love“; “Lucky at cards, unlucky in love“ და სხვ.

სიყვარულის თემაზე შექმნილ ინგლისურენოვან ანდაზებში გვხვდება როგორც აშკარა (ექსპლიციტური), ასევე ფარული შედარება, რომელიც ანდაზას დადებით ან უარყოფით შეფასებით არსს ანიჭებს. ინგლისურენოვან ანდაზებში, “Love is blind, as well as hatred“; “Hatred is blind, as well as love“, სახეზე გვაქვს ორი საპირისპირო, დადებითი და უარყოფითი ემოციის – სიყვარულის და სიძულვილის – ღია შედარება, რომელიც ხორციელდება შედარებითი კონსტრუქცია “as well as“-ის დახმარებით. ანდაზების პირდაპირი მნიშვნელობით, სიყვარული ისეთივე ბრმაა, როგორც სიძულვილი. ამ ორი გრძნობის შეპირისპირების საფუძვლად გვევლინება მათი საერთო თვისება – „სიბრმავე“, რომელიც

ანდაზებში გამოხატულია ზედსართავი სახელით “blind“. სწორედ ამ სიტყვის მნიშვნელობა ასოცირდება ადამიანთან, რომელიც უარს ამბობს რეალობის აღქმაზე, რის გამოც ანდაზა უარყოფითი არსის მატარებელია.

ანდაზაში, “All is fair in love and war“, უკვე ფარული შედარებაა წარმოდგენილი, რისი წყალობითაც ანდაზას შემდეგი მნიშვნელობა ენიჭება: „ომსა და სიყვარულში ყველა ქმედება გამართლებულია“, ამ ანდაზაში ჩადებული მორალის დადებითი ან უარყოფითი შეფასება სიტუაციურად ან კონტექსტურად არის განპირობებული. იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა “all“-ით ნაგულისხმევი ყველა ქმედება კარგისკენ (მშვიდობისკენ) მიემართება, ანდაზა დადებითი არსის მატარებელია. თუმცა, იგივე ანდაზა უარყოფითი შეფასებით წარმოგვიდგება, როდესაც მიზნის მისაღწევად ადამიანი ყველაფერს, მათ შორის ამორალურ საქციელს ან დანაშაულს სჩადის.

დადებითი შეფასებითი არსის მატარებელია ინგლისური ანდაზა: “The falling out of lovers is the renewing of love“, რომლის მიხედვითაც შეყვარებულების უთანხმოება ან ჩხუბი, ურთიერთობის დადებითად განვითარების საშუალებას იძლევა, მაშინ როდესაც ანდაზის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება აბსურდულია, რამდენადაც ჩხუბი ჩვეულებრივ მტრობასთან ან უთანხმოებასთან ასოცირდება.

დადებითია შემდეგი ანდაზაც: “Beauty lies in lover 's eyes“, რომელშიც ფარული შედარება მას შემდეგ მნიშვნელობას ანიჭებს - ნებისმიერი ადამიანი ლამაზია მასზე შეყვარებული კაცის თვალში. ანდაზის პირდაპირი მნიშვნელობა არარეალურ ფაქტს გამოხატავს, რადგანაც შეუძლებელია, რომ სილამაზე თვალის შიგნით არსებობდეს.

დადებითი შეფასებითი არსი აქვს შემდეგ ინგლისურენოვან ანდაზას: “Love will creep where it may not go“. მეტაფორულობა მას შემდეგ მნიშვნელობას ანიჭებს: „სიყვარულს ნებისმიერი ადამიანის, მტრის გულშიც კი შეუძლია გაღვიძება“. სიყვარული ადამიანს მხოლოდ დადებითი ემოციებით ავსებს. სწორედ ამით აიხსნება ანდაზის დადებითი

შეფასებითი არსი. მოვიყვანო კიდევ ერთ მაგალითს სიყვარულის თემაზე, ნამდვილი სიყვარულის უკვდავებაზე მეტყველებს: “The heart that once truly loves never forgets“ („ნამდვილ სიყვარულს გული არასდროს ივიწყებს“). ანდაზა გამოხატავს იმ ადამიანის გულწრფელ გრძნობებს, რომლის გულშიც ჭეშმარიტი სიყვარული ცოცხლობს და რომელსაც არასოდეს ავიწყდება თავისი სატრფო.

ზოგჯერ ინგლისურენოვან ანდაზებს სიყვარულის შესახებ დადებით შეფასებით არსს ანიჭებს განშორების თემა. მაგალითად, ანდაზაში – “Absence makes the heart grow fonder“ – ნაჩვენებია განშორება, რომელიც აღიქმება მყარი ურთიერთობის განვითარების კარგ საფუძვლად.

ფარული შედარება ასევე გვხვდება უარყოფითი შეფასებითი არსის მქონე ინგლისურენოვან ანდაზებში სიყვარულის თემაზე. მაგალითად: “When poverty comes in at the door, love flies out at the window“; “Salt water and absence wash away love“. მოცემულ ანდაზებში ერთმანეთთან შეპირისპირებულია სიღარიბე და სიყვარული, ცრემლები (რომელიც აქ მეტაფორულად არის გამოხატული ფრაზით „მლაშე წყალი“) და განშორება, რის საფუძველზეც გამოთქმულია ხალხური სიბრძნე, რომ სიღარიბე, ცრემლები და განშორება სიყვარულის დაკარგვის მიზეზს წარმოადგენს, რაც შესაბამისად, ანდაზებს უარყოფით შეფასებით არსს ანიჭებს.

§3. მეგობრობის თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა

ინგლისურ ენაში უხვად მოიპოვება ანდაზები მეგობრობის თემაზე, რომლებიც გამოხატავენ ერთგულებას, გასაჭირში ერთმანეთის დახმარებას, ნდობას, იმედს, გაგებას და სხვ.:

"He is a good friend that speaks well of us behind our backs; When a friend asks there is no tomorrow; A friend in need is a friend

indeed; A friend is never known till needed; Before you make a friend eat a bushel of salt with him; Prosperity makes friends, and adversity tries them; Old friends and old wine are best; Many hands make light work; A friend's frown is better than a foe's smile; Better lose a jest than a friend; They are rich that have friends; Happy is he whose friends were born before him; Choose an author as you choose a friend; Even reckoning makes long friends; A friend to all is a friend to none; Short debts make long friends; Short reckonings make long friends; Friends are thieves of time; Success has many friends; False friends are worse than open enemies; Better an open enemy than a false friend; A broken friendship may be soldered with but never be sound; They are rich that have friends, etc."

ბევრი ანდაზა ამტკიცებს, რომ ნამდვილი მეგობარი ის არის, ვინც გასაჭირში არ მიგატოვებს და საქმით შეიცნობა: "A friend in need is a friend indeed"; "A friend is never known till needed"; "Before you make a friend eat a bushel of salt with him"; "Prosperity makes friends, and adversity tries them"; "Old friends and old wine are best".

ზოგ ინგლისურენოვან ანდაზაში ხაზგასმულია ის თვისება, რომელიც გვეხმარება ნაცნობებს შორის ჭეშმარიტი მეგობარი ამოვიცნოთ: "He is a good friend that speaks well of us behind our backs"; "A friend's frown is better than a foe's smile". შემდეგ ინგლისურენოვან ანდაზაში მეგობრობის თემაზე შეგვიძლია ვნახოთ, რომ მეგობრული, ერთობლივი მუშაობა საქმეს აიოლებს: "Many hands make light work".

ხშირად ანდაზა გვასწავლის მეგობრობის ფასს, რომ კარგი მეგობრების ყოლა უფრო ღირებულია, ვიდრე მატერიალური სიმდიდრის: "They are rich that have friends"; "Happy is he whose friends were born before him". ამ ანდაზაში კი გამოხატულია მეგობრის დაკარგვის შიში: "Better lose a jest than a friend".

ზოგ ანდაზაში ნაჩვენებია, რომ სიფრთხილე და პატიოსნება გვმართებს მეგობართან საქმიანი, მატერიალურ ღირებულებებთან დაკავშირებული ურთიერთობის დროს. ამაზე მეტყველებს შემდეგი ანდაზები: "Even reckoning makes long friends"; "Short debts make long friends"; "Short reckonings make long friends".

იგივე თემატიკას ეხმიანება ანდაზა – "Short debts make long friends". მასში გამოყენებული შედარება, რომელიც ენობრივად გაფორმებულია ანტონიმური წყვილით "short debts" („ხანმოკლე ვალი“) და "long friends" („ხანგრძლივი მეგობრობა“), იძლევა ბრძნულ დარიგებას იმასთან დაკავშირებით, რომ „ვალის დროულად დაბ-რუნება ახანგრძლივებს მეგობრობას.“ ეს რჩევა ანდაზას დადებით შეფასებით არსს ანიჭებს და იგი მეტაფორულად არის გამოხატული, რამდენადაც თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ანდაზა არარეალური სიტუაციას აღწერს: „მოკლე ვალები გრძელ მეგობრობას ქმნის.“

მეგობრობის თემაზე არსებულ ანდაზებში ხაზი ესმება იმას, რომ ნამდვილი მეგობარი ადამიანს არ შეიძლება ბევრი ჰყავდეს; რომ, ის ვინც ყველასთან მეგობრობს უბრალოდ ნაცნობია და არა მეგობარი. სწორედ ეს აზრია მეტაფორულად გამოხატული ანდაზაში – "A friend to all is a friend to none", რომლის პირდაპირი მნიშვნელობა ამბობს, რომ „ბევრის მეგობარი, არავის უწევს მეგობრობას.“

საინტერესოა, რომ ზოგიერთ ანდაზაში მეგობრობის დადებითი არსი კონტრასტული, უარყოფითი კონტექსტით არის გამოხატული. ასეთია, მაგალითად, ანდაზა – "Friends are thieves of time", რომლის პირდაპირ მნიშვნელობაში მეგობარი განიხილება „დროის ქურდათ“; ანუ პიროვნებად, რომელიც თქვენთვის ძვირფას დროს გაკარგვინებთ. თუმცა სინამდვილეში, ანდაზაში მეტაფორულად არის ჩადებული ის აზრი, რომ მეგობარი არის ის ახლობელი ადამიანი, რომელთანაც დიდ დროს ატარებთ, რამდენადაც თქვენ შეგიძლიათ მას გაუზიაროთ ყველა თქვენი სიხარული თუ სატკივარი, დაეკითხით რჩევა და ა.შ. .

ანგლოფონურ კულტურაში გვხვდება ისეთი ანდაზებიც, რომელთა ზედაპირული ტექსტის დადებითი მნიშვნელობა სინამდვილეში უარყოფითი არსის მატარებელია. ამის მაგალითად გამოდგება ანდაზა – “Success has many friends“, სადაც მეტაფორულად არის მინიშნებული ზოგი ადამიანის არაგულწრფელ დამოკიდებულებაზე; კერძოდ იმაზე, რომ წარმატებულ ადამიანს ბევრი ემეგობრება, ხოლო ღარიბს და გაჭირვებულს – არავინ. ამ აზრის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს თითქმის უნივერსალიად ქცეული ანდაზა "A friend in need is a friend indeed" („მეგობარი გასაჭირში იცნობა“), რომლის ანალოგიც ბევრ ეთნოკულტურაში მოიპოვება.

იგივე აზრია ღია შედარებით გამოხატულ ანდაზაში "Prosperity makes friends, and adversity tries them." ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ანგლოფონურ კულტურაში ხშირად გვხვდება ანტონიმური შინაარსის მქონე ანდაზები. საკმარისია, მოვიყვანოთ დადებითი შეფასებითი არსის მქონე ისეთი ანდაზა, როგორცაა – “They are rich that have friends“, სადაც არამეტაფორულად, პირდაპირ არის მოცემული მტკიცება იმის შესახებ, რომ ადამიანის სიმდიდრე ბევრი მეგობრის ყოლაა.

ანდაზები ხშირად კიცხავენ ცრუ მეგობრებს და მათ მტრებზე უფრო საშიშ არსებებად მიიჩნევენ: “False friends are worse than open enemies“; “Better an open enemy than a false friend“. ანდაზა – “A broken friendship may be soldered but will never be sound“ – უკვე უარყოფითი ხასიათის თვისებას, მეგობრობაში ღალატს გვიჩვენებს; რომ, შესაძლოა უარყოფითი ფაქტის გამო გაწყვეტილი მეგობრობა აღდგეს, მაგრამ ის აღარასოდეს იქნება წრფელი და ნამდვილი.

კიდევ ერთი დარიგება მეგობრის შერჩევასთან დაკავშირებით მოცემულია ანდაზაში – “Before you make a friend eat a bushel of salt with him.“ მასში მეტაფორულად არის გატარებული ის აზრი, რომ მეგობრობა ნაუცბადევად არ ყალიბდება, რომ ნამდვილი მეგობრობა მრავალ გამოცდას და განსაცდელს გადის, და მხოლოდ მათი ერთად გადალახვის შედეგად

იქმნება ის მტკიცე და ერთგული კავშირი, რასაც მეგობრობა ეწოდება. მოცემულ ანდაზაში ეს აზრი მეტაფორულად არის დაკავშირებული დიდი რაოდენობის მარილის შეჭმასთან („ვიდრე დაუმეგობრდები ვინმეს, მასთან ერთად ერთი ფუთი მარილი უნდა ჭამო“), რაც უდაოდ უსიამოვნო და ჯანმრთელობისთვის საშიშროების შემქმნელი პროცედურაა.

ინგლისურენოვან ანდაზებში მეგობრობის თემაზე გვხვდება როგორც ღია, ასევე ფარული შედარება, რომელიც ანდაზას ანიჭებს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებით არსს. მაგალითად, დადებითი შეფასებითი არსი აქვთ მინიჭებული ღია შედარების მეტაფორული გამოყენებით შემდეგ ანდაზებს: “Better lose a jest than a friend”; “A friend that frowns is better than a smiling one”, “A friend's frown is better than a foe's smile”; “A friend in court is better than a penny in purse”; etc. მათში პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამია, რომ „სჯობს შეველიოთ მასხრობას, ვიდრე დავკარგოთ მეგობარი“; „სჯობს ისეთი მეგობარი, რომელიც ზოგჯერ იღუშება, ვიდრე ის, ვინც ყოველთვის იღიმება“; ან კიდევ, „სჯობს მეგობარი გყავდეს სასამართლოში, ვიდრე ერთპენიანი გქონდეს ქისაში“. სწორედ მეტაფორიზაცია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩავწვდეთ მათ ნამდვილ არსს. შესაბამისად, პირველი ანდაზა მეტაფორულად გვეუბნება, რომ „მეგობრის გრძნობებს გახუმრების დროსაც კი უნდა მოვუფრთხილდეთ.“ მეორე ანდაზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ "სჯობს მეგობარმა ზოგჯერ დაგტუქსოთ, ვიდრე ყოველთვის გიცინოდეთ." თითქმის ანალოგიურია მესამე ანდაზა, რომლის მიხედვითაც "მეგობრისგან მკაცრად მოპყრობა სჯობს მტრის არაგულწრფელ, ვითომდა კეთილ დამოკიდებულებას". ბოლო ანდაზაში კი ის აზრია მეტაფორულად გატარებული, რომ "რთულ სიტუაციაში გონიერი რჩევის მომცემი მეგობარი სჯობს დიდი ფულის ქონას“.

ღია შედარების მიუხედავად ანდაზაში, “Better an open enemy than a false friend“, შეგვიძლია განვჭვრიტოთ უარყოფითი შეფასებითი არსი. აქ ერთმანეთს შედარებულია მტერი, რომელიც არ მალავს თავის გრძნობებს

და ცრუ მეგობარი. ამ ორს შორის უპირატესობა მტერს ენიჭება. მეგობრის სიცრუესა და ღალატს ანდაზაში ნეგატიური განწყობა შემოაქვს. შემდეგ ანდაზაში გამოყენებული ფარული შედარება კი გვიჩვენებს, რომ ხუმრობა შეიძლება მეგობრის დაკარგვის მიზეზი იყოს: "A joke never gains an enemy but often loses a friend". ამ გზით მეგობრის დაკარგვა ანდაზას უარყოფით შეფასებით არსს ანიჭებს.

§4. სახლის (home) თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა

ინგლისური სიტყვა "home" უფრო ღრმა კონცეპტუალური შინაარსის მატარებელია ვიდრე „სახლი“, რამდენადაც მის მნიშვნელობაში წინა პლანზეა წამოწეული ოჯახური თბილი გარემო და ურთიერთობები, რომელიც ამა თუ იმ სახლს, უფრო ზუსტად კი შენობას, ღრმა აზრობრივ დატვირთვას სძენს. სიტყვა "home"-ში თავს იყრის მატერიალური, სოციალური და ფსიქოლოგიური შინაარსი, რაც ართულებს მის ზუსტ თარგმნას სხვა ენაზე. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინგლისელები ოჯახისადმი ერთგულებით გამოირჩევიან. მათთვის "home" არის ყველაზე ძვირფასი ადგილი, სადაც ის არა მარტო ცხოვრობს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, არამედ ყველაზე დაცულად და კომფორტულად გრძნობს თავს. ლექსემა "Home"-ის ეს კონცეპტუალური შინაარსი ყველაზე თვალსაჩინოდ და კომპაქტურად არის გამოხატული მეტაფორულ ფრაზაში "An Englishman's home is his castle". ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ამ ცნებაზე უამრავი ანადაზა მოიპოვება ანგლოფონურ კულტურაში. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სიტყვა "home"-ში სინონიმურად გამოიყენება ლექსემა "house", რომელიც, როგორც წესი აქტუალიზდება ფრაზით – "one's own", როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ ანდაზებშია ნაჩვენები:

"Home is where the heart is; There is no place like home; East or West, home is best; An Englishman's home is his castle; Home, sweet home; See no good like home; Every dog is a lion at home; A woman's place is in the home; Men make houses, women make homes; He that would be well, needs not go far from his own house; Every man is a king (master) in his own house; In the house of a fiddler all fiddle; The smoke of a man's own house is better than the fire of another; Every bird likes its own nest; Every man likes his own things best; Home is home though it be never so homely; The master absent and the house dead; Better an empty house than an ill tenant; The longest way round is the shortest way home; Farthest way about nearest way home; The wider we roam, the welcome home; Better at home, than a mile from it; Dry bread at home is better than roast meat abroad; It takes a heap of living to make (a house) a home; Who loves to roam may lose his house; He has no home whose home is everywhere; Far from home, near thy harm; A house divided against itself cannot stand, *etc.* "

კვლევამ აჩვენა, რომ სახლის თემაზე შექმნილ ანდაზებს უმეტესად დადებითი შეფასებითი არსი აქვთ, რადგან ინგლისელებს უყვართ საკუთარი სახლი და თვლიან, რომ ეს არის მათთვის ყველაზე საყვარელი, თბილი და მყუდრო ადგილი: "Home, sweet home; There is no place like home; East or West, home is best". შემდეგი ანდაზები ასევე გვიჩვენებენ კეთილგანწყობილ, დადებით დამოკიდებულებას სახლის მიმართ: "He that would be well, needs not go far from his own house"; "Home is where the heart is".

სახლი ინგლისელისთვის ერთგვარი ციხესიმაგრეა: "An Englishman's house is his castle." იგი მას ეხმარება პირადი ცხოვრება გამიჯნოს გარე სამყაროსგან, აქ მას ავიწყდება ყოველდღიური დარდი და ვარამი, თავს თავისუფლად გრძნობს და შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მის გულს

გაუხარდება. ანდაზები ხშირად ხაზს უსვამენ მამა-კაცის წამყვან როლს ოჯახში და სახლში, როგორც ეს ნაჩვენებია ამ მაგალითებში: "Every man is a king (master) in his own house"; "Every dog is a lion at home". ორივე ამ ანდაზას დადებითი შეფასებითი არსი აქვს.

ინგლისურ ანდაზებში ასევე არის ნაჩვენები, რაოდენ დიდ როლს თამაშობს ქალი სახლში: "A woman 's place is in the home"; "Men make houses, women make homes." ამ ანდაზების მიხედვით, სწორედ ქალი ქმნის იმ ოჯახურ სიმყუდროვეს, რომელსაც ინგლისელი მამაკაცი აფასებს. თუმცა, როგორც ქვემოთ მოყვანილ ანდაზებში დავინახავთ, ანგლოფონურ კულტურაში სახლი მაინც წარმოუდგენელია მამაკაცის გარეშე: "In the house of a fiddler all fiddle"; "The master absent and the house dead".

ინგლისელები სიცოცხლის ბოლომდე უფრთხილდებიან და აფასებენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს. როგორც ქვემოთ მოყვანილი ანდაზები გვიჩვენებენ, საკუთარი სახლი ინგლისელისათვის ყველაზე ძვირფასია: "The smoke of a man's own house is better than the fire of another"; "Every bird likes its own nest"; "Every man likes his own things best"; "East or west, home is best". გაჭირვების დროს ინგლისელს ურჩევნია გაყიდოს საკუთარი სახლი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი, და უფრო მოკრძალებული ადგილი შეარჩიოს საცხოვრებლად, რადგანაც მის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ადგილი, თუნდაც პატარა, ინგლისელისთვის მაინც სახლს წარმოადგენს: "Home is home though it be never so homely". გარდა ამისა, ინგლისელი ყველაფერს გააკეთებს, რათა ქირით არ მოუწიოს ცხოვრება: "Better an empty house than an ill tenant".

ის ფაქტი, რომ სახლი ინგლისელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია თვალნათლივ ჩანს შემდეგ ანდაზებში: "Better at home, than a mile from it"; "Dry bread at home is better than roast meat abroad". იგი ყოველთვის ცდილობს დაუბრუნდეს საკუთარ საცხოვრებელ ადგილს: "The hare always returns to her form"; "The longest way round is the shortest way home"; "Farthest way about nearest way home"; "The wider we roam, the welcome home".

იმისათვის, რომ თბილი და მყუდრო ოჯახური კერა შეიქმნას, დიდი დრო არის საჭირო: “It takes a heap of living to make (a house) a home“. სახლისადმი ასეთი თბილი, კეთილგანწყობილი და დადებითი დამოკიდებულება ზემოთ მოყვანილ ანდაზებს სახლის თემაზე დადებით შეფასებით არსს ანიჭებს.

ინგლისურენოვან ანდაზებში სახლის თემაზე გვხვდება როგორც ღია, ასევე ფარული შედარება, რომელიც არ ექსპლიცირდება სპეციალური კომპარატიული ფრაზით. ამ შედარებების წყალობით, ანდაზა შეიძლება დადებითი ან უარყოფითი შეფასებითი არსის მატარებელი იყოს.

შემდეგ ანდაზებში გამოყენებული ფარული შედარება კიცხავს ადამიანებს, რომლებთაც არ უყვართ სახლში ყოფნა და მთელ დროს გარეთ ატარებენ: “Who loves to roam may lose his house“; “He has no home whose home is everywhere“; “Far from home, near thy harm“. ანდაზებში გამოყენებული შედარებები მათ უარყოფით შეფასებით არსს ანიჭებს. მოვიყვანოთ კიდევ ერთ უარყოფითი არსის მქონე მაგალითს, რომელიც ფარული შედარებით იქმნება: “A house divided against itself cannot stand“. აქ ნაჩვენებია განხეთქილება ოჯახურ ურთიერთობებში, რაც ნებისმიერ ოჯახურ კერას ანგრევს.

არსებობს ისეთი ინგლისურენოვანი ანდაზები ოჯახის თემაზე, რომელთა პირ-დაპირი მნიშვნელობის აღქმა ადვილია: „Who loves to roam may lose his home “; „Far from home, near thy harm“; „He has no home whose home is everywhere“. ამ ანდაზების სემანტიკა უარყოფითი შეფასებითი არსის მატარებელია.

ფარული შედარება ქვემოთმოყვანილ ინგლისურენოვან ანდაზებს სახლის თემაზე დადებით მნიშვნელობას ანიჭებს: “Every man is a king in his own house“; “Every dog is a lion at home“. ეს შედარება გამოხატავს ადამიანის დიდ როლს ოჯახში, სადაც იგი თავს ბატონად, ოჯახის უფროსად და კერის დამცველად გრძნობს.

“Home is where you hang his hat“; “Home is where the heart is“ - ამ ანდაზებს შემდეგი მნიშვნელობა აქვთ: სახლი ის ადგილია, სადაც შენ თვითონ ხარ მასპინძელი და პატრონი, სადაც თვითონ ემსახურები საკუთარ თავს. სახლი ის ადგილია, სადაც სითბოა და სიყვარულით გელიან. ფარული შედარება ამ ანდაზებს დადებით შეფასებით არსს ანიჭებს. ეს მნიშვნელობები ანდაზებში მეტაფორულად არის გამოხატული, რამდენადაც მათი პირდაპირი მნიშვნელობით, პირველ მათგანში ნათქვამია, რომ სახლი ის ადგილია, სადაც შეგიძლია ქუდი თვითონ ჩამოკიდო; ხოლო მეორის მიხედვით კი, სახლი ის ადგილია სადაც შენი გულია.

ზოგი ინგლისური ანდაზა ფუნქციურ-სემანტიკური სინკრეტიზმით ხასიათდება. მაგალითად, სიტუაციიდან გამომდინარე, ანდაზა “An Englishman's house is his castle“ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით, თუ სახლის მფლობელი კომპოში ცხოვრობს, რაც ინგლისური სინამდვილისთვის სრულიად შესაძლებელია. თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მოცემული ანდაზა მეტაფორულად აღიქმება სახლის (house) და კომპის/ციხე-სიმაგრის (castle) ფარული შედარების წყალობით, რომლის მიხედვითაც ინგლისელის სახლი ის ხელშეუხებელი ადგილია, სადაც ის უშიშრად და ბატონ-პატრონად გრძნობს თავს, სადაც მისი უფლებების და სიმყუდროვის დარღვევა არავის შეუძლია.

ანგლოფონურ კულტურაში მრავლად მოიპოვება სახლის თემაზე შექმნილი ანდაზები, რომელთა მეტაფორიზაცია ხორციელდება უკვე ექსპლიციტურად გამოხატული ღია შედარებით, როგორც ეს ამ მაგალითებში ჩანს: “The smoke of a man's own house is better than the fire of another“; “Better a man's empty house than an ill tenant“; “Better at home, than a mile from it“; “Dry bread at home is better than roast meat abroad“. აქ ერთმანეთს უპირისპირდება საკუთარი და სხვისი სახლი უკეთესობის გამომხატველი შედარებითი კონსტრუქციით "better than", რომელიც ანდაზას დადებითი შეფასების არსს სძენს. კერძოდ, მიუხედავად იმისა,

რომ საკუთარი სახლი შეიძლება ღარიბული იყოს, ანდაზებში ის მაინც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფას ადგილად წარმოგვიდგება. ღია შედარების წყალობით ანდაზებში ნაჩვენებია ის კეთილდღეობა და სიტბო, რომელსაც ადამიანი იღებს საკუთარი სახლისგან.

ინგლისურენოვან ანდაზებში – “There is no place like home“; “See no good like home“; “Every man likes his own things best“; “East or West, home is best“ – ღია შედარება დადებითი შეფასებითი კომპონენტის გამომხატველია, რადგანაც სახლი ნაჩვენებია, როგორც ყველაზე ძვირფასი ადგილი მთელს დედამიწაზე.

ზოგიერთი ანდაზა ანგლოფონურ კულტურაში ორი მნიშვნელობით არის შენარჩუნებული. ამის მაგალითად გამოდგება ანდაზა “The longest way round is the shortest way home“, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა შესაძლებელია გამოვხატოთ მისი ქართული ეკვივალენტით – „შორი გზიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო.“ თუმცა, თითქმის ისეთივე ფართო გამოყენება აქვს ამ ანდაზას მისი მეტაფორული მნიშვნელობით, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: ხანდახან ადამიანს უწევს დროებით საკუთარი სახლის დატოვება და რაც უფრო შორს არის მისგან, მით უფრო ისწრაფვის შინ დასაბრუნებლად. ანდაზაში პირდაპირი მნიშვნელობით ერთმანეთთან არის შეპირსპირებული ორი გზა: ყველაზე გრძელი გზა, რომელიც სახლს გვაშორებს, და ყველაზე მოკლე – შინისკენ მიმავალი. ანდაზის მეტაფორული არსი ეფუძნება მანძილის ასოცირებას დროის ხანგრძლივობასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ, ერთი მხრივ, ადამიანს უჭირს საკუთარი სახლის დიდი ხნით დატოვება, რის გამოც შინიდან მიმავალი გზა ყველაზე გრძელია მისთვის; მეორე მხრივ კი, მას ეჩქარება შინ დაბრუნება, რის გამოც სახლისკენ მიმავალ იგივე გზას სწრაფად და მოკლე დროში გადის. ანდაზა აშკარად დადებითი არსის მატარებელია, რადგანაც მასში ნაჩვენებია საკუთარი სახლის და ოჯახის მნიშვნელობა და ფასი.

§5. ოჯახური ურთიერთობების თემაზე შექმნილი ანდაზების სემანტიკა და სტილისტიკა

ოჯახური ურთიერთობები ანდაზების და ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო თემას წარმოადგენს. ადამიანი, როგორც გონიერი არსება, ყოველთვის ცდილობდა თავის მსგავს არსებებთან ერთად ეცხოვრა – იქნებოდა ეს თემი, გვარი, საზოგადოება თუ ჯგუფი. თუმცა, ოდითგანვე ცნობილია, რომ მხოლოდ ოჯახი აღძრავს გულწრფელი სიყვარულის, ყურადღების, სითბოსა და ალერსიანი ურთიერთობების გრძნობას. ოჯახი, როგორც ადგილი, სადაც ვცხოვრობთ და დროის უდიდეს ნაწილს ვატარებთ, როგორც ერთგვარი სოციალური, ხასიათდება უშუალო, ინტიმური გარემოთი და ურთიერთობით ახლობელ ადამიანებთან, რაზეც მეტყველებს ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი ანდაზები, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო და თაობიდან და თაობას გადაეცემა:

"Never criticize the other's family and it applies to both; Parents are patterns; A father's goodness is higher than the mountains; a mother's goodness is deeper than the sea; A man's mother is his other God; One good mother is worth a hundred schoolmasters; A mother's love will draw up from the depth of the sea; A mother's love never ages; A mother's love is best of all; An ounce of mother is worth a ton of priest; A good Jack makes a good Jill; A good wife makes a good husband; One father is more than a hundred schoolmasters; Children are poor men's riches; There's only one pretty child in the world, and every mother has it;" "A child may have too much of his mother's blessing; The best smell is bread, the best savour salt, the best love that of children; There is a black sheep in every flock; Every family cooking pot has one black spot; All are good lasses, but whence come the bad wives.; Accidents will happen in the best regulated families; No one is perfect, forget each other's fault; Children are certain cares, but uncertain comforts; Share each other's joy, feel each other's pains; In marriage tears and smiles

make the music of life; To marry is to halve your rights and double your duties; A compliment a day keeps the divorce away; Men are April when they woo, December when they get married; Marriage is a lottery in which men stake their liberty, and women their happiness; Death and marriage make changes; Age and marriage tame man and beast; He who has richer wife has a master; He that marries wealth sells his liberty; He who has richer wife has a master; He that marries wealth sells his liberty; Frequent remarriage gives room for scandal; Late children, early orphans; Train up a child in the way he should go, etc."

ანდაზებში აირეკლება ტიპური ინგლისური მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ცოლ-ქმრული და ოჯახური ურთიერთობების ნიშნები. სწორედ ანდაზა, საუკუნეებს გამოვლილი გრამატიკულად და რითმულად ორგანიზებული მყარი გამოთქმა, გამოხატავს ერის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებისეულ ბრძნულ გამოცდილებას,

ინგლისელების ცხოვრების სტილი შეუთავსებელია აღვირახსნილებასთან. ისინი შინაგანად თავშეკავებულები არიან, არ უყვართ საუბარი სასიყვარულო ინტრიგებზე, ღალატზე, არ აფიშირებენ ძვირადღირებულ შენაძენს, არ ინტერესდებიან და ცხვირს არ ყოფენ მეზობლის ოჯახურ ცხოვრებაში. ამის დასტურად გვევლინება ინგლისურენოვანი ანდაზა: "Never criticize the other's family and it applies to both".

ანდაზები ასახავენ ურთიერთობებს როგორც მეუღლეებს შორის, ასევე მშობლებსა და შვილებს შორის. ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ სწორედ მშობლებს აკისრებენ ინგლისელები გადამწყვეტ როლს, რამდენადაც ისინი მისაბამები არიან შვილებისთვის. მაგალითად: "Parents are patterns"; "A father's goodness is higher than the mountains"; "A mother's goodness is deeper than the sea". ეს ანდაზები გვიჩვენებენ, რომ მშობლები არა

მარტო გამზრდელებს, არამედ ყველაზე დიდ ავტორიტეტს წარმოადგენენ შვილებისთვის.

ანდაზებში ნაჩვენებია როგორც დედის სიყვარულის უდიდესი ძალა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის ან შეედრება, ასევე მამის ავტორიტეტი. მაგალითად: “A man's mother is his other God”; “One good mother is worth a hundred schoolmasters”; “A mother's love will draw up from the depth of the sea”; “A mother's love never ages”; “A mother's love will draw up from the depth of the sea; A mother's love never ages; A mother's love is best of all; An ounce of mother is worth a ton of priest”; “One father is more than a hundred schoolmasters“.

არსებობს რამდენიმე ინგლისურენოვანი ანდაზა, სადაც ნაჩვენებია, რომ ბედნიერი ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ბავშვებთან ერთად არის შესაძლებელი: “Children are poor men's riches”; “There's only one pretty child in the world, and every mother has it”; “A child may have too much of his mother's blessing”; “The best smell is bread, the best savour salt, the best love that of children”.

თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არსებობს იდეალური ოჯახური ურთიერთობები. შემდეგი ანდაზები გვიჩვენებს, რომ მეუღლეებს შორის ხშირია ჩხუბი და კონფლიქტი: “Accidents will happen in the best regulated families”; “There is a black sheep in every flock”; “Every family cooking pot has one black spot”; “All are good lasses, but whence come the bad wives”. ასეთ შემთხვევებში, ძალიან მნიშვნელოვანია მეუღლეებმა გაგება გამოიჩინონ. ოჯახურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია მორალური პრინციპები, კერძოდ კი მეორე ადამიანის და მისი „მე“-ს პატივისცემა. ქორწინება კომპრომისებს ეფუძნება. მეუღლეებს უნდა შეეძლოთ სიყვარულის მიღება და გაცემა, ემოციების მოთოკვა და მოთმინება, საკუთარი შეცდომების აღიარება, გაცნობიერება, რომ ნებისმიერი ადამიანი უშვებს შეცდომას. მეუღლეები ერთმანეთს უნდა უზიარებდნენ საკუთარ აზრებს, ხშირად აქებდნენ და კეთილ სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ასეთია შემდეგი

ანდაზები: “No one is perfect, forget each other's fault”; “Share each other's joy, feel each other's pains”; “A compliment a day keeps the divorce away”.

ზოგიერთ ინგლისურენოვან ანდაზებში ნაჩვენებია, ვინ უნდა იყოს უფრო დამთმობი ოჯახურ კონფლიქტებში, ვინ თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს ოჯახში. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მეუღლე თანაბარ როლს თამაშობს ამ ურთიერთობებში, რაც ნათლად აისახება შემდეგ ანდაზებში: “A good Jack makes a good Jill”; “A good wife makes a good husband”. ამ ანდაზებიდან ჩანს, რომ მეუღლეები ერთმანეთს ავსებენ, მიდიან დათმობებზე და შესაბამისად ჰარმონიას ქმნიან ოჯახში.

ჩვენს მიერ გაანალიზებული ანდაზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანდაზებში გამოხატულებას ჰპოვებს ოჯახის ეთიკური და კულტურული თავისებურებანი. ზემოთ მოყვანილი ანდაზები, როგორც ერის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მატარებლები, გამოხატავენ სოციო-კულტურულ ფასეულობებს, ოჯახში ქცევისა ტრადიციებს.

ინგლისურენოვან ანდაზებში ოჯახურ ურთიერთობებზე გვხვდება როგორც ღია ასევე ფარული შედარება. შემდეგ ინგლისურენოვან ანდაზებში გამოყენებული ფარული შეპირისპირება განადიდებს ქალის როლს ოჯახში და შესაბამისად ანდაზს დადებით შეფასებით არსს ენიჭება: “A good wife makes a good husband”; “A man without a wife is but half a man”; “A good Jack makes a good Jill”.

ანდაზის – “In marriage tears and smiles make the music of life” – პირდაპირი მნიშვნელობა გვეუბნება, რომ ქორწინებაში ცრემლები და ღიმილი ქმნის ცხოვრების მუსიკას, მასში მეტაფორულად ჩადებული ცხოვრებისეული გამოცდილების სიბრძნე კი ვლინდება ფარული შედარების წყალობით და იძლევა გაფრთხილებას, რომ ოჯახურ ცხოვრებაში ბედნიერებაც არის და წუხილიც, დარდიც და სიხარულიც, რაც ქმნის ცოლქმრული ურთიერთობების ჰარმონიას, ანუ მუსიკას.

ქორწინება და ცოლქმრული ურთიერთობები პიროვნებას აკისრებს ოჯახზე პასუხისმგებლობას, მეუღლეზე და შვილებზე ზრუნვას, რის გამოც

მისი შრომა და მოვალეობები იზრდება. სწორედ ეს აზრია მეტაფორულად გამოხატული ანდაზაში “To marry is to halve your rights and double your duties”. შემდეგი ანდაზა კი მეტ-ყველებს იმაზე, რომ მშობლები ყოველთვის ზრუნავენ შვილებზე, თუმცა არ არიან დარწმუნებულები, რომ მათგანაც საპასუხოდ იგივეს მიიღებენ: “Children are certain cares, but uncertain comforts”.

ოჯახის თემაზე შექმნილ ანდაზებში გამოყენებული ფარული შედარება შეიძლება მას ანიჭებდეს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებით არსს. მაგა-ლითად, ინგლისურ ანდაზაში “Men are April when they woo, December when they get married” ერთმანეთთან არის შეპირისპირებული ორი თვე – “April” და “December”. გაზაფხულის თვე, რა დროსაც ბუნება იღვიძებს და ირგვლივ ყველაფერი ყვავილობას იწყებს, მეტაფორულად ასოცირდება სითბოსთან, მზესთან, გონებრივ და ფიზიკურ გაფურჩქვასა და კარგ განწყობასთან, მაშინ როდესაც ზამთრის თვე, დეკემბერი, სიცივის, ცუდი განწყობის და მოღუშულობის განცდას ბადებს. ეს ორი თვე მეტაფორულად გადმოგვცემს იმ აზრს, რომ ქორწინებამდე ტრფობის პერიოდი კაცისთვის საუკეთესოა, ქორწინების შემდეგ კი მამაკაცში ძირეული, უარყოფითი ცვლილებები ხდება, რაც თავისთავად ანდაზას უარყოფით შეფასებით არსს ანიჭებს.

ანალოგიურად იძენს უარყოფით მნიშვნელობას მეტაფორული აღქმის საფუძველზე ანდაზები – “Marriage is a lottery in which men stake their liberty, and women their happiness”; “He who has richer wife has a master”; “He that marries wealth sells his liberty”. პირველ ანდაზაში ქორწინება მეტაფორულად არის გაიგივებული ლატარეას თამაშთან, რომელიც ამ შემთხვევაში ბედისწერის სიმბოლოდ აღიქმება, რადგან ამ დროს რისკის ქვეშ დგება როგორც მამაკაცის თავისუფლება, ასევე ქალის ბედნიერება. სხვა სიტყვებით, ქორწინება გარკვეულწილად ბედის გამოცდაა, რადგანაც არავინ იცის წინასწარ, რამდენად იღბლიანი შეიძლება აღმოჩნდეს ის წყვილისათვის. ფარული შედარება-შეპირისპირება ქორწინების და

იღბალზე დამოკიდებული ლატარიის თამაშის, რომელიც ამ ანდაზაშია გამოყენებული, მას უარყოფით არსს ანიჭებს. მეორე და მესამე ანდაზა კი მამაკაცებს აფრთხილებს, რომ არ დახარბდნენ ცოლის სიმდიდრეს, რადგანაც ამან შეიძლება კაცს ღირსება და თავისუფლება დააკარგვინოს და ცოლის მსახურად, ლაქიად გადააქციოს. კიდევ ერთ დარიგებას აძლევს ინგლისური ანდაზა მამაკაცებს ცოლის შერჩევასთან დაკავშირებით – კერძოდ, სახლში ბუზდუნა ცოლთან ერთად ცხოვრებას სჯობს მარტო იცხოვრო, თუნდაც სახლის სახურავზე: “Better to live on the roof than share the house with a nagging wife.”

ქორწინებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მჟღავნდება ისეთ მეტაფორულ ანდაზებში, როგორცაა – “Wedlock is a padlock”; “The most dangerous thing is a wedding cake”, რომლებშიც ცოლ-ქმრულ ცხოვრება არასასიამოვნო სიტუაციებთან არის გაიგივებული. პირველ შემთხვევაში ქორწინება გაიგივებულია ბოქლომის დადებასთან, რის საფუძველზეც ქორწინება მეტაფორულად არის შეფასებული როგორც თავისუფლების დაკარგვა. მეორე ანდაზაშიც ქორწინების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული, რამდენადაც ის შეფასებულია როგორც საკმაოდ შრომატევადი და უსიამოვნო მდგომარეობა, რომელიც მეტაფორულად ასოცირდება საქორწინო ტორტის დაჭრის რთულ პროცესთან.

თუ დავაკვირდებით ოჯახური ურთიერთობების შესახებ ზოგიერთ ინგლისურენოვან ანდაზას, შევნიშნავთ, რომ ფარულმა შედარებამ ერთი და იგივე ანდაზას შეიძლება მიანიჭოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებითი არსი, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე. მაგალითად, ანდაზებში, “Death and marriage make changes”; “Age and marriage tame man and beast”, საუბარია ქორწინების შემდგომ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

ოჯახურ თემაზე ანდაზებში იშვიათად გვხვდება ღია შედარება, რომელიც უმეტესწილად დადებით შეფასებით არსს ანიჭებს პარემიებს. მაგალითად, ანდაზაში – “One father is more than a hundred schoolmasters”

(„მამის დაირიგება სჯობს ათასი სკოლის მასწავლებლისას“) ერთმანეთს ღიად არის შედარებულია მშობელი მამა და ასობით სკოლის მასწავლებელი, რის საფუძველზეც კეთდება ლოგიკური დასვნა, რომ ბავშვის აღზრდა პირველ რიგში მამის მოვალეობაა, რადგანც მის სიტყვას უფრო დიდი ძალა აქვს ვიდრე სკოლის მასწავლებლებისას. ანალოგიური აზრია გატარებული ამ ანდაზაშიც, რომელშიც კვლავ ხაზი ესმება მშობლების როლის ფასდაუდებლობას: “A father's goodness is higher than the mountains, a mother's goodness is deeper than the sea”. საილუსტრაციოდ მოგვყავს კიდევ ერთი ანდაზა, რომლის მიხედვითაც დედის სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას: “A mother's love is best of all”.

ზოგიერთი ინგლისურენოვანი ანდაზა ოჯახურ ურთიერთობებზე აღიქმება მისი პირდაპირი მნიშვნელობით: “Accident will happen in the best regulated families”; “There's only one pretty child in the world, and every mother has it”; “Late children, early orphans”; “Train up a child in the way he should go” და სხვ.

თავი 3

კონტექსტის გავლენა ანდაზის სემანტიკურ-შეფასებით არსზე

§1. ინგლისური ანდაზების გამოყენება უზუალური მნიშვნელობით

ანდაზის უზუალურ გამოყენებაში ვგულისხმობთ მის გამოყენებას საყოველთაოდ აღიარებული, ანუ სისტემური მნიშვნელობით, რომელიც დაფიქსირებულია არა მარტო ლექსიკონში, არამედ ერის ცნობიერებაშიც.

ინგლისურენოვანი ანდაზების უზუალური გამოყენება საკმაოდ ხშირად გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც ხელს უწყობს მისი ტრადიციული, უზუალური მნიშვნელობის გაშლას კონტექსტში. როგორც წესი, მხატვრულ ტექსტში ჩვენს მიერ განხილულ სიყვარულის, მეგობრობის, სახლისა და ოჯახური ურთიერთობების თემებზე შექმნილ ანდაზებში მისი ნიშნელობა და შეფასებითი არსი უცვლელი რჩება. ასეთ შემთხვევაში ანდაზები ამყარებენ განხილულ საკითხს და ასრულებენ საბოლოო, განზოგადებული დასკვნის გამოტანის ფუნქციას.

ანდაზების უცვლელი მნიშვნელობით გამოყენება ხშირად გვხვდება აგათა კრისტის დეტექტიურ მოთხრობებში. მაგალითად, ინგლისურენოვანი მეტაფორული ანდაზა ოჯახურ ურთიერთობებზე – “There is a skeleton in every cupboard” – რომელიც გვატყობინებს, რომ ყოველ ოჯახს და ყოველ ადამიანს აქვს თავისი საიდუმლო, რამდენჯერმე გამოიყენება მისი მოთხრობების კრებულში “Parker Pyne Investigates” მთავარი პერსონაჟის, დეტექტივ პაიკის მიერ. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მოკლე დიალოგი პარკერსა და მის მეგობარ სმიტს შორის, რომელიც ეხება გოგონას, რომელსაც, პარკერის დაკვირვებით, რაღაც აწუხებს. თავის მოსაზრებას იგი უზიარებს სმიტს, რომელმაც, როგორც ირკვევა, უცნაური ვერაფერი შენიშნა გოგონაში. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, პარკერი მოიშველიებს ზემოხსნეულ ანდაზას მისი უცვლელი მნიშვნელობით:

“– Couldn’t you see how worried she was at the concert? She’s got something to hide.

– I noticed nothing.

– Then you are blind. They’re all such decent people. **There’s a skeleton in every cupboard**, Smith. (Christie, *Parker Pyne Investigates*)”

იმავე ნაწარმოებში გამოყენებული მეტაფორული ანდაზის მნიშვნელობა მეგობრობის თემაზე – “It takes all sorts of honour to make a world” – გვიჩვენებს, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თვისებებით და შეხედულებებით, რაც კარგია, რადგან მთლიანობაში ისინი ავსებენ ერთმანეთს, რაც ეხმარებათ მათ პრობლემების მოწესრიგებაში. კრიტიკის ნაწარმოების კონტექსტში ეს ანდაზა არ იცვლის თავის ტრადიციულ, უზუალურ მნიშვნელობას და გვიჩვენებს, რომ სამყაროს ყველა ტიპის ადამიანი სჭირდება და, რომ მხოლოდ ერთობლივად შეიძლება მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

“– ‘No, what you suggest, I couldn’t possibly have done. I have my honour as a detective to think of.’

– ‘The honour, it is a very serious thing. I suppose it takes all kinds of honour to make a world (Christie, *Parker Pyne Investigates*).’”

შემდეგი ანდაზები ოჯახურ ურთიერთობებზე გამოხატავენ მშობლებისა და შვილების ძლიერ სიყვარულს ერთმანეთის მიმართ: “Father’s goodness is higher than the mountains”, “Mother’s goodness is deeper than the sea”. აღნიშნული ანდაზების გამოყენება აპელის ერთ-ერთი მოთხრობის კონტექსტში მკითხველს ეხმარება გაიაზროს პერსონაჟებსა და მათ მშობლებს შორის არსებული ურთიერთობების მთელი სიღრმე და სიძლიერე:

“One day, Suellen treated me to tea on a silver service she'd inherited from her mother. Later, I showed her a photograph of my own parents, and she admired my father's mustaches.

'Father's goodness is higher than the mountains', I said, quoting the proverb. 'Mother's goodness is deeper than the sea.'

'Yes,' she said and pressed her fingers against my wrist (Appel, *Frying Finn*).”

ანდაზა სახლის თემაზე, “The longest way round is the shortest way home”, სიმენის მოთხრობის კონტექსტში გამოყენებულია მისი პირდაპირი მნიშვნელობით – „შორი გზიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო“. პერსონაჟებისათვის შემოვლითი გრძელი გზა მოკლეზე უკეთესი აღმოჩნდა, რადგანაც სწორედ ამ გზის კეთილმოწყობის წყალობით, ისინი მოკლე დროში სახლში აღმოჩნდნენ:

"'But isn't that going along way around?' questioned Sydney. 'There's an old proverb, 'The longest way round is the shortest way home!' laughed Mr. Tred-well. 'It applies particularly in this case, because the roads are better on that side and we can make quicker progress (Seaman, *The Mystery At Number Six*)."

ინგლისურენოვანი, მეტაფორული ანდაზის ჩვენს მიერ განხილული ყველა სემანტიკური ჯგუფის შეფასებით არსი, უარყოფითი იქნება ეს თუ დადებითი, შეიძლება უცვლელი დარჩეს ლიტერატურული ნაწარმოებების კონტექსტში. ამ შემთხვევაში, ანდაზა ეხმარება ავტორს, გამოხატოს და მკითხველს მიაწოდოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნის, მოვლენის ან ქმედების მიმართ.

სიყვარული ყოველთვის არ არის დაკავშირებული მხოლოდ დადებით ემოციებთან. ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული ხშირად მტანჯველი და უტყვია. შეყვარებულ ადამიანს უჭირს თავისი გრძნობების გამხელა, რამდენადაც ის არ არის დარწმუნებული მისი ტრფობის ობიექტის საპასუხო რეაქციაში. იმედგაცრუება კი ყოველთვის უარყოფით გრძნობებს

აღძრავს. ადამიანის ამგვარ ემოციურ მდგომარეობას განაზოგადებს ლაკონიური ფორმით მეტაფორულად ინგლისური ანდაზა – "True love suffers, and is silent." ეს ანდაზა გამოიყენება სიყვარულზე მსჯელობისას ერთ-ერთი მოქმედი პირის მიერ ოსკარ უაილდის ალეგორიულ ზღაპარში „არაჩვეულებრივი რაკეტა“, რომლის კონტექსტის ფონზეც ის აშკარად უარყოფითი არსის მატარებელია. წარსულში სიყვარულზე გულგატეხილი ცეცხლმფრქვევი ბორბალი ("Catherine Wheel"), რომელიც ქალის სიმბოლოდ არის ზღაპარში გამოყენებული, აცხადებს, რომ სიყვარული აღარ არის მოდაში და ის წარსულს ჩაბარდა; ყოველივე ამის მიზეზად კი მას პოეტების მიერ ამ გმნობის ზედმეტად განდიდება მიაჩნია. საკუთარ მოსაზრებას ამ საკითხის მიმართ ცეცხლმფრქვევი ბორბალი გამოხატავს ანდაზის მოშველიებით, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტ სიყვარულს არ სჭირდება ბევრი ლაპარაკი, რად-განაც ის მტანჯველი და უტყვია – "True love suffers, and is silent:"

"Any place you love is the world to you,' exclaimed the pensive Catherine Wheel, who had been attached to an old deal box in early life, and prided her-self on her broken heart; 'but love is not fashionable any more, the poets have killed it. They wrote so much about it that nobody believed them, and I am not surprised. **True love suffers, and is silent.** I remember myself once. But no matter now, Romance is a thing of the past (Wilde, *The Remarkable Rocket*)."

ამრიგად, მხატვრული ნაწარმოებების კონტექსტში გამოყენებული ინგლისურენოვანი მეტაფორული ანდაზები ინარჩუნებენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებით არსს, რითაც შესაძლებლობას აძლევენ ავტორს, ხალხური სიბრძნის მოშველიებით, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება მჯელობის საგნის მიმართ.

§2. ინგლისურენოვანი ანდაზების ოკაზიონალური გამოყენება

ანდაზების სემანტიკური ვარირება, რაც განპირობებულია მისი ოკაზიონალური ანუ ინდივიდუალური მნიშვნელობით გამოყენებით მხატვრულ ტექსტში, მკვლევარ პარემიოლოგების დიდ ინტერესს იწვევს. ანდაზის ამგვარმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ხატოვნურ-ემოციურობის, ექსპრესიულობის და ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვის ნაწილობრივი დაკარგვა. ამის მიზეზად კი შეიძლება განვიხილოთ ავტორის სწრაფვა, საკუთარი ესთეტურ-კომუნიკაციური ინტენციის შესაბამისად, ანდაზას მიაწიოს მნიშვნელობის ახალი ნიუანსები და შემატოს მას ექსპრესიულობა და ხატოვნება.

ანდაზების ოკაზიონალური გამოყენების დროს ისინი განიცდიან გარკვეულ ლექსიკურ, გრამატიკულ, სემანტიკურ-შეფასებით ან სტილისტურ სახეცვლილებას. ლიტერატურის განზოგადება უჩვენებს, რომ ოკაზიონალური ცვლილებები შეიძლება შეეხოს როგორც ანდაზის მხოლოდ ფორმას ან მის მნიშვნელობას, ასევე ორივეს – ფორმას და მნიშვნელობას ერთად.

კუნიის აზრით, ავტორები, ტექსტისთვის მეტი ექსპრესიულობის და დამაჯე-რებლობის მინიჭების მიზნით, ხშირად მიმართავენ ანდაზის არასტანდარტულად გამოყენებას, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მათი ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთ გამოხატულებად (Кунин, 1997: 9). ანდაზის ტრადიციული ფორმის დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებს ლინგვისტები განიხილავენ მის ოკაზიონალურ ვარიანტებად.

ბაზისური ანდაზის გამოყენება მხატვრულ ტექსტში მისი ინდივიდუალური მნიშვნელობით დაკავშირებულია მოულოდნელობის ეფექტთან, რადგანაც ანდაზა მზა ფორმის გამონათქვამს წარმოადგენს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას უცვლელი ფორმით გადაეცემა. ეს გულისხმობს იმას, რომ ინგლისური ენის მატარებლები ანდაზებს ფლობენ ფონური ცოდნის სახით, რის გამოც მკითხველისთვის ცნობილია ტექსტში ნახსენები ანდაზის ტრადიციული

შინაარსი და კომპონენტების თანმიმდევრობა, მას გონებაში წარმოუდგება ყველა ის სიტუაცია, რომლის დროსაც მოცემული ანდაზის გამოყენება მიზანშეწონილი იქნება. სწორედ ეს უწყობს ხელს მისი ექსპექტაციის ანუ მოლოდინის გამმაფრებას, რისი დარღვევაც იწვევს ავტორისთვის სასურველი პრაგმატიკული ეფექტის მიღწევას.

ანდაზა ორგანულად ერწყმის კონტექსტს და მის შიგნით ქმნის საკუთარ, კონტექსტურ მნიშვნელობას. ანდაზის სემანტიკის ოკაზიონალური აქტუალიზაცია, როგორც წესი, ხორციელდება კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ფართო კონტექსტში მისი გადააზრების გზით. სემანტიკური ბუნების წყალობით, ანდაზების გადააზრება და გამოყენება შესაძლებელია ორ პლანში – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ყურადსაღებია, რომ ანდაზის სემანტიკის ნებისმიერი ოკაზიონალური გამოყენება გულისხმობს მის ასოციაციურ კავშირს წინადადების პირველად მნიშვნელობასთან, რაც მის გენეტიკურ პროტოტიპს წარმოადგენს.

კვლევის მიზნებიდან შესაბამისად, ნაშრომის წინამდებარე თავში ჩვენ განხორციელეთ რამოდენიმე ინგლისურენოვანი ანდაზების სემანტიკური ანალიზი მხატვრულ ტექსტში, რის შედეგადაც გამოვლინდა მათი კონტექსტურად განპირობებული ორი ტიპობრივი სახეცვლილება – ანდაზის სემანტიკური კლასის და მისი შეფა-სებითი არსის ცვლილება., რომელთა განხილვასაც გთავაზობთ მომდევნო პარა-გრაფებში.

§3. ანდაზის სემანტიკური კლასის ცვლილება

ინგლისურენოვანი ანდაზების თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ თითქმის ყველა სიტუაციას შეიძლება მივუსადაგოთ ესა თუ ის ანდაზა. მეტაფორული ანდაზები აღწერენ ადამიანის ემოციებს და ცხოვრებისეული გამოცდილების სხვადასხვა სფეროებს. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში ანდაზამ შეიძლება შეიძინოს ახალი,

არატრადიციული მნიშვნელობა და, შესაბამისად, შეიცვალოს სემანტიკური კლასი. მაგალითისათვის განვიხილოთ მეტაფორული ანდაზა – “What will be will be” („რაც მოსახდენია, მოხდეს“), რომელიც შექმნილია ბედისწერის თემაზე და გვიჩვენებს, რომ ცხოვრებაში არაფერია შემთხვევითი – რაც გიწერია ბედად, ყველაფერი ისე მოხდება. ინგლისური ზღაპრის, „თევზი და ბეჭედი“ კონტექსტში ეს ანდაზა იძენს ახალ მნიშვნელობას. შედეგად, მისი სემანტიკა ტრანსპონირდება და ფართოვდება, რაც განაპირობებს კიდევ მის გადასვლას სიყვარულის თემატიკაზე შექმნილ ანდაზათა სემანტიკურ ჯგუფში:

"When the guests saw such a young, beautiful cook, they were surprised. Only the baron was very angry and wanted to hit her. But the girl went up to him and showed him her hand with the ring on it. After that she took off the ring and put it down before him on the table.

Then the baron said, "**What will be will be.**" And he told her to sit down and told the people that this was his son's true wife. And he took her and his son home to his castle; and they lived as happy as could be ever afterward (Jacobs J., English fairy tales, *The Fish and the Ring*)"

მოცემულ კონტექსტში აღნიშნული ანდაზა გვიამბობს ჭეშმარიტ სიყვარულზე, რომელსაც ყველა წინაღობის გადალახვა შეუძლია. იგი ამბობს, რომ თუ სიყვარული არსებობს, მაშინ მას ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს.

შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, როგორ იცვლის კონტექსტის გავლენით მნიშვნელობას ჭკუა-გონების თემაზე შექმნილი ანდაზა – “One cannot have everything in this world”, რის შედეგადაც იგი გადადის სიყვარულის გამომხატველ ანდაზათა სემანტიკურ ჯგუფში. ამ ანდაზის ტრადიციული ბრძნული მნიშვნელობის მიხედვით, შეუძლებელია ადამიანი ყველაფერს

ფლობდეს, რადგან ცხოვრება ან ერთს გაძლევს, ან მეორეს. ა. კრისტის დეტექტიური მოთხრობის – „პარკერ პაინი იძიებს“ – კონტექსტში მოცემული ანდაზის მნიშვნელობა იცვლება. საუბრის დროს, რომელიც თავლობის თვიდან დაბრუნებული ახალგაზრდა წყვილის გაჭირვებულ ფინანსურ მდგომარეობას ეხება, პაინი ცდილობს ახსნა მოუძებნოს მათ ხელგაშლილობას, რა მიზნითაც ის მოიშველიებს ზემოხსენებულ ანდაზას. დეტექტივის მსჯელობით, შეყვარებულებმა თავლობის თვით და მარტო ყოფნით დატკობა ამჯობინეს ფინანსების დაზოგვას. შესაბამისად, ჭკუა-გონების გამომხატველი სემანტიკური კლასიდან ანდაზა გადაინაცვლებს სიყვარულის თემატიკაზე შექმნილ ანდაზათა ჯგუფში.

“ ‘How marvelous are the resources of modern commerce!’ he murmured.

‘The only thing that worries me,’ said Mrs. Oliver, ‘is that those two young people won't find any cache when they get there.’

‘**One cannot have everything in this world,**’ said Mr. Parker Pyne.

‘They will have had a honeymoon’ (Christie, Parker Pyne Investigates). “

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც კონტექსტის გავლენით ანდაზა იცვლის თავის სისტემურ მნიშვნელობას, შესაბამისად კი სემანტიკურ კლასს. ანდაზა – “One cannot run with the hare and hunt with the hounds” – ადამიანის შესაძლებლობების გამომხატველ სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. მისი ტრადიციული მნიშვნელობა გვასწავლის, რომ შეუძლებელია ადამიანმა ერთდროულად ორი, ურთიერთგამომრიცხავი საქმე აკეთოს. ჯონ გოლზუორთის რომანის, „მარყუჟი“, კონტექსტში ეს ანდაზა კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს, რის შედეგადაც ის იცვლის სემანტიკურ ჯგუფს. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს დიალოგს ახალგაზრდა ჯოლიონსა და სომსს შორის, რა დროსაც ირკვევა, რომ სომსი მისული იყო აირინთან, რომელთანაც ის განქორწინებას

გეგმავდა. აშკარაა, რომ სომსს არ ეთმობა აირინი, რაც ჯოლიონის გაღიზიანებას იწვევს. მას არასწორად მიაჩნია სომსის საქციელი, რაზედაც ის პირდაპირ მიანიშნებს ანდაზის გამოყენებით – “One cannot run with the hare and hunt with the hounds”, რომლის სემანტიკაც კონკრეტდება კონტექსტის გავლენით – კერძოდ, თუ ადამიანი ცოლთან განქორწინებას აპირებს, ის აღარ უნდა აწუხებდეს მას თავისი ვიზიტებით. შესაბამისად, ანდაზა გადაინაცვლებს ოჯახური ურთიერთობების ამსახველ ანდაზათა სემანტიკურ კლასში:

" 'I've been seeing Irene,' said Jolyon when the cab had started.

'Indeed!'

'You went to see her yesterday yourself, I understand.'

'I did,' said Soames; 'she's my wife, you know.'

The tone, the half-lifted sneering lip, roused sudden anger in Jolyon; but he subdued it. 'You ought to know best,' he said, 'but if you want a divorce it's not very wise to go seeing her, is it? **One can't run with the hare and hunt with the hounds?**' 'You're very good to warn me,' said Soames, 'but I have not made up my mind' (Galsworthy, In Chancery, p. 56)."

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტაფორული ანდაზის მიკუთვნება ამა თუ იმ სემანტიკური ჯგუფისათვის დამოკიდებულია კონტექსტზე, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელი ანიჭებს ანდაზას კონკრეტულ მნიშვნელობას. ლიტერატურული ნაწარმოების კონტექსტში, ავტორი ანდაზაში დებს კონკრეტულ მნიშვნელობას, რადროსაც იგი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ანდაზის რომელიმე შემადგენელ ნაწილზე. შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ მეტაფორულ ანდაზას შეუძლია შეიცვალოს სემანტიკური ჯგუფი.

§4. ანდაზის შეფასებითი არსის ცვლილება

ბევრი ლინგვისტის მოსაზრებით, მნიშვნელობის შეფასებითი არსი უნივერსალურია, თუმცა ისინი ვერ თანხმდებიან ამ არსის ბუნებასა და მის ადგილზე ენობრივი ერთეულების სემანტიკაში. ვოლფის აზრით, გამონათქვამის შეფასებითი არსი მოდალობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს და ის პრაგმატიკულ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება, რადგანაც ის მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას გამოხატავს რეფერენტული სიტუაციის თუ ხდომილების მიმართ (Волф, 1985). შესაბამისად, სუბიექტურობა ენობრივი ერთეულის შეფასებითი არსის მთავარი მახასიათებელია.

ნებისმიერი შეფასებითი დამოკიდებულება გულისხმობს სუბიექტის და ობიექტის არსებობას: მათგან პირველი გულისხმობს პირს ან სოციუმს, რომელიც აფასებს; მეორე კი ის საგანი ან მოვლენაა, რომელიც ფასდება. შეფასებითობა თავისი არსით ორპოლუსიანია, რამდენადაც იგი გულისხმობს ობიექტის ზოგადი მნიშვნელობის განზოგადებას პოზიტიურისა და ნეგატიურობის პრიზმაში.

ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ანდაზის მნიშვნელობის დადებითი შეფასებითი არსი წარმოდგენილია წახალისების გამომხატველი მეტაფორული ანდაზებით, ხოლო უარყოფითი შეფასებითი არსი კი – გაკიცხვის გამომხატველი ანდაზებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტექსტმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მეტაფორული ანდაზების სემანტიკაზე, შესაბამისად კი შეფასებით არსზე. კონტექსტში ანდაზა თვისებრივ ცვლილებებს განიცდის, რაც დამოკიდებულია იმ სუბიექტის ღირებულებებზე, ვინც გამოიყენებს ანდაზას და ვისგანაც მოდის შეფასება.

გთავაზობთ ერთი კონკრეტული ანდაზის განხილვას სხვადასხვა კონტექსტში. ეს ანდაზა გახლავთ – “Accidents will happen in the best regulated families”. ჰოუელსის რომანში, "The Rise of Silas Lapham", მისტერ უოკერი მას გამოიყენებს მეტაფორული მნიშვნელობით, რა დროსაც ის ეჭვქვეშ აყენებს კორის იმედს, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით ჩაივლის. შესაბამისად, ამ

კონტექსტში ანდაზა უარყოფითი შეფასებითი არსის მატარებელია, რადგანაც იგი გამოხატავს გაურკვეველობას შექმნილი სიტუაციის მიმართ:

" 'It depends upon who he is,' said Walker, taking his cigar from his mouth. 'I never said the old man was afraid of anything.'

'And the character!' continued Corey, 'If it's to be the prey of mere accident and appearance, then it goes for nothing.'

'**Accidents will happen in the best regulated families,**' said Walker, with good-humored obtuseness that filled Corey with indignation' (Howells, *The Rise of Silas Lapham*, p. 120)."

იგივე ანდაზას უკვე დადებით კონტექსტში გამოიყენებს ჩარლზ დიკენსი თავის რომანში „დევიდ კოპერფილდი“, რის გამოც მისი შეფასებითი არსითი მნიშვნელობაც დადებითი ხდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მიკროტექსტს, რომლის მსჯელობის საგანს წარმოადგენს წინა დლით გამართული ბანკეტის წარუმატებლობა, რამაც დორა და დევიდი უხერხულობაში ჩააგდო. ამასთან დაკავშირებით დევიდი ამბობს, რომ მხოლოდ მისტერ მაკოუბარის დამამშვიდებელმა სიტყვებმა შეძლო სიტუაციის გან-მუხტვა და მისი უხერხული მდგომარეობიდან გამოყვანა. ავტორი ახდენს მისტერ მაკოუბარის მიერ ამ მიზნით გამოყენებული ანდაზის ციტირებას – “Accidents will happen in the best regulated families”, რომელიც მოცემულ კონტექსტში დადებით შეფასებით არსს იძენს:

" 'The banquet was such a failure that I should have been quite unhappy about Dora – if I had not been relieved by the great good-humour and a bright suggestion from Mr. Micawber.'

'My dear friend Copperfield,' said Mr. Micawber, 'accidents will occur in the best regulated families.' (Dickens, *David Copperfield*, p. 120)"

მხატვრულ ტექსტში ჩვენს მიერ განხილული მეტაფორული ანდაზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მათი შეფასებითი არსითი

მნიშვნელობის ცვლილება ორივე მიმართულებით: დადებითიდან – უარყოფითისკენ და პირიქით. კვლევამ ასევე წარმოაჩინა, რომ ამგვარ ცვლილებებს ექვემდებარება, უმთავრესად, ოჯახური ურთიერთობების და სახლის ცნებების გამომხატველი ანდაზები.

მაგალითისათვის ავიღოთ ოჯახური ურთიერთობების გამომხატველი მეტაფორული ანდაზა – “Charity begins at home”, რომლის მნიშვნელობაც აშკარად დადებითია, რამდენადაც მასში მოცემული სახალხო გამოცდილება გვასწავლის, რომ ოჯახიდან იწყება სხვაზე ზრუნვა. მოემის პიესაში კი ეს ანდაზა უარყოფით მნიშვნელობას იძენს კონტექსტის გავლენით, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდებიდან:

"Sheppey: It's the poor as a must help the poor.

Ernie: And they do, don't they? Everyone knows that the poor are splendid to one another. Everyone who writes about them says that. But when all's said and done **charity begins at home.**

Florrie: That's right. I mean, one must think of those who are near and dear to one first (Maugham, *Sheppey*. p. 25)."

შეპიმ ფულადი პრიზი მიიღო. გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც მხოლოდ ღარიბები ეხმარებიან ერთმანეთს, მას სურს, მოგებული ფულით დაეხმაროს ღარიბებს, რაც ნათესავებისთვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა. ისინი ცდილობენ გადაარწმუნონ შეპი. ერნი, შეპის ქალიშვილის საქმრო, საყვედურობს მას, რა მიზნითაც ის გამოიყენებს ანდაზას – “Charity begins at home”, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ შეპიმ, უპირველესად, საკუთარი ოჯახის წევრებზე უნდა იზრუნოს. ფლორიც ეთანხმება ქმარს. შესაბამისად, კონტექსტი ანდაზას უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებს.

საინტერესოდ არის გამოყენებული იმავე რომანში დადებითი არსის მატარებელი ანდაზა – “Handsome is that handsome does”, რომელიც

მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის შეფასება უნდა ხდებოდეს არა მისი გარეგნული მონაცემებით, არამედ მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეების მიხედვით. შესაბამისად, ეს ანდაზა მოუწოდებს ადამიანებს კეთილი საქმეების კეთებისკენ. დიკენსის „დევიდ კოპერფილდში“ მისი მნიშვნელობა უარყოფითად იცვლება კონტექსტის ზეგავლენით:

"Miss Trotwood, or Miss Betsey... has been married to a husband younger than herself, who was very handsome, except in the sense of homely adage, **"handsome is that handsome does"** – for he was strongly suspected of having heated Miss Betsey, and even of having once made some hasty but determined arrangements to throw her out of a two pair of stairs window. These evidences of her husband's temper induced Miss Betsey to pay off, and effect a separation by mutual consent (Dickens, David Copperfield, p. 35)."

მოცემული მიკროტექსტის მიხედვით, ოდესღაც, პაპიდა ბეტსი გათხოვილი იყო მასზე გაცილებით ახალგაზრდა სანდომიან კაცზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობილ ანდაზას – “Handsome is that handsome does”. მოცემული ანდაზის ირონიული გამოყენებით, ავტორი მკითხველს ატყობინებს იმ ორ „საგმირო საქმეზე“, რომელიც მან მეუღლის მიმართ განახორციელა: ერთ შემთხვევაში, მან მეუღლეზე ხელი აღმართა; ხოლო მეორეჯერ – მისი ფანჯრიდან გადმოგდება სცადა. შესაბამისად, მოცემულ კონტექსტში ანდაზამაც არსითი მნიშვნელობა შეიცვალა და დადებითის ნაცვლად უარყოფითი შეფასების მატარებელი გახდა.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც სიყვარულის თემაზე შექმნილი უარყოფითი არსითი შეფასების მქონე ანდაზა კონტექსტის გავლენით დადებითად გადაიქცევა. ასეთია მეტაფორული ანდაზა “When poverty comes in at the door, love flies out of the window”, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ოჯახში შექმნილმა სიღატაკემ შეიძლება ცოლ-ქმარს შორის განხეთქილება წარმოშვას და მათი სიყვარული გაქრეს. შესაბამისად, ანდაზის შინაარსი უარყოფითი ხდება. ო. უაილდის რომანის, „დორიან

გრის პორტრეტის“ კონტექსტში ანდაზა იცვლის შეფასებით არსს და დადებით მნიშვნელობას იძენს:

" 'Why, you don't even know his name,' answered the lad.

'Who is he? I have a right to know.'

'He is called Prince Charming. I wish you could come to the theatre to-night. He is going to be there, and I am to play Juliet. Oh! how I shall play it! To have him sitting there! Prince Charming, my wonderful lover, my god of graces. But I am poor beside him. Poor? What does that matter? **When poverty creeps in at the door, love flies in through the window.** Our proverbs want rewriting. They were made in winter, and it is summer now; spring-time for me, I think, a very dance of blossoms in blue skies.'

'Sibyl, you are mad about him!' (O. Wilde, *The Picture of Dorian Grey*)."

სიბილი, შეყვარებულია მისთვის მიუწვდომელ მომაჯადოებელ პრინცზე, რომელიც მას სრულყოფილების განსახიერებად მიაჩნია. იგი გრძნობს, რომ სიღარიბემ შესაძლოა ხელი შეუშალოს სიყვარულის მოპოვებაში, რადგანაც, როგორც ანდაზა ამბობს, "When poverty comes in at the door, love flies out of the window". სიბილი ცდილობს გამოსავლის პოვნას და დადებით კონტექსტში განიხილავს მოცემულ გამოთქმას. მისი აზრით, ყველა ანდაზა იქმნებოდა ზამთარში, რომელიც მეტაფორულად მიანიშნებს უსიყვარულობაზე. მაგრამ ახლა გაზაფხულია, სიყვარულის დრო, როდესაც ირგვლივ ყველაფერი ყვავილობას იწყებს და ადამიანებიც ერთმანეთისკენ მიილტვიან მიუხედავად მათი სოციალური სტატუსის თუ მატერიალური მდგომარეობის.

ამრიგად, მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში ინგლისურენოვანი ანდაზების შეფასებითი არსის კვლევამ გვიჩვენა, რომ კონტექსტი უშუალო ზეგავლენას ახდენს ანდაზების შეფასებით არსზე. მას შეუძლია ანდაზის დადებითი შეფასებითი არსი შეცვალოს უარყოფითზე ან პირიქით, რაც

განპირობებულია შეფასების განმახორციელებელი სუბიექტის ღირებულებებზე და მსჯელობაზე. სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებულ ერთსა და იმავე ანდაზას შეიძლება სხვადასხვა შეფასებითი არსი ჰქონდეს. შეფასებითი არსის ცვლილება დადებითიდან უარყოფითზე დაფიქსირდა, უმე-ტესად, სახლის და ოჯახური ურთიერთობების თემებზე შექმნილ მეტაფორულ ანდაზებში; ხოლო უარყოფითიდან დადებითზე კი – ანდაზებში სიყვარულის თემაზე.

დასკვნები

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. პარემიოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული განზოგადების და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, ჩვენ გამოვყავით ანდაზის უმთავრესი მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც შევეცადეთ შეგვემუშავებინა ამ ენობრივ-კულტურული ფენომენის ისეთი დეფინიცია, რომელშიც ექსპლიცირებული იქნებოდა ყველა ეს მახასიათებელი. შესაბამისად, ნაშრომში ანდაზას განვიხილავთ როგორც სპეციფიკური ჟანრის დიდაქტიკური ხასიათის საერთო-სახალხო საკუთრებად ქცეულ ტექსტს, რომელშიც ხატოვანად და ლაკონიური ფორმით გამოხატულებას ჰპოვებს ამა თუ იმ ეთნოკულტურაში საუკუნეების მანძილზე გამოცდილების შედეგად დაგროვილი ფილოსოფიური თუ ცხოვრებისეული საკითხების, ღირებულებების და ადამიანის სხვადასხვა თვისების ბრძნული განზოგადება.

2. რამდენადაც ანდაზა მრავალწახნაგოვან ფენომენს წარმოადგენს, რის გამოც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მისი ლინგვისტური სტატუსის შესახებ, ჩვენ განვახორციელეთ მისი შეპირისპირებითი ანალიზი ისეთ მსგავს ენობრივ ერთეულებთან, როგორცაა ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი გამოთქმები (sayings) და აფორიზმები. შედეგად დავადგინეთ, რომ მიუხედავად მათი მსგავსებისა სტრუქტურულ-სემანტიკური ფიქსირებულობის და ლაკონიურობის თვალსაზრისით, **ანდაზები ფრაზეოლოგიზმებისგან განსხვავდებიან** იმით, რომ ისინი კომუნიკაციურად და სინტაქსურად დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ, ფრაზეოლოგიური ერთეულები ამგვარ დამოუკიდებლობას მოკლებულნი არიან. თითქმის ანალოგიურია მთავარი **განსხვავება ანდაზასა და ხატოვან გამოთქმებს შორის**. დამატებითია სემანტიკური კრიტერიუმია ის, რომ ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობა ყოველთვის იდიომატურია და არ გამომდინარეობს მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობებიდან, მაშინ როდესაც ანდაზის მნიშვნელობა ყოველთვის მათ ეფუძნება, იქნება ეს პირდაპირი თუ მეტაფორული გაგებით. რაც შეეხება ანდაზისა და აფორიზმის ურთიერთმიმართებას, ისინი

ერთმანეთისგან განსხვავდებიან ეტიმოლოგიური და სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნით: ანდაზა ხალხური წარმოშობისაა, აფორიზმი კი ავტორისეულ ქმნილებას წარმოადგენს ან კონკრეტულ ტექსტს უკავშირდება; ანდაზას მარტივი სტრუქტურული ფორმა აქვს და რითმული წყობა ახასიათებს, აფორიზმებს კი უფრო რთული სინტაქსური სტრუქტურა აქვთ; და ბოლოს, სემანტიკური თვალსაზრისით, ანდაზის მნიშვნელობისთვის დასაშვებია ორივე – პირდაპირი და მეტაფორული მოტივირება, აფორიზმის ზოგადი მნიშვნელობა კი ყოველთვის პირდაპირ მოტივირებულია.

3. კვლევამ წარმოაჩინა, რომ ანდაზების უმეტესობა მეტაფორულია თავისი არსით და მათში რეალობის კონცეპტუალიზაცია ემყარება კოგნიტურ მეტაფორას, რომლის არსიც მდგომარეობს ამა თუ მოვლენის, ადამიანური თვისების თუ ღირებულების სახალხო მეტაფორულ აღქმა-განზოგადებაში, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებს ის ეთნოკულტურული, ფსიქოლოგიური თუ შემეცნებითი თავისებურებები, რომლის წიაღშიც ეს ანდაზები შეიქმნა. პოეტური მეტაფორისგან განსხვავებით, ანდაზებში მეტაფორულად გამოხატული ხალხური ბრძნული განზოგადება ეფუძნება რეალობის ასოციაციურ აღქმაგანზოგადებას, როდესაც ერთი კონცეპტუალური კატეგორიის გააზრება ხდება მეორეთი. შესაბამისად, ნაშრომში განვიხილავთ მეტაფორული ანდაზის ორ სტრუქტურულ სახეს: ა) ანდაზები, რომელთა მეტაფორული მნიშვნელობა ფარულ შეპირისპირებას ეფუძნება; ეს გახლავთ საკუთრივ მეტაფორები; ბ) ანდაზები, რომლებშიც მნიშვნელობის მეტაფორული განზოგადება ეფუძნება აშკარა ანუ ღია ხატოვან შედარებას, რომელიც რეალიზდება ექსპიციტურად სპეციალური კომპარატიული კონსტრუქციებით: better ... than; worse ... than, as good ... as; as ... as, etc.

4. კვლევის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ განვახორციელეთ სიყვარულის, მეგობრობის, სახლის და ოჯახური ურთიერთობების მეტაფორულად ამსახველი ანდაზების კომპონენტური და

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვავლინეთ მათი სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ანდაზების სემანტიკა, როგორც წესი, დადებითი შეფასებითი არსის მატარებელია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც ეს კონცეპტები ნეგატიურ ქრილში წარმოჩინდებიან. დადებითი ანდაზები წახალისებას გამოხატავენ, ხოლო უარყოფითი – გაკიცხვას. ამასთან, ანდაზის დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები ვლინდება როგორც მისი ცალკეული კომპონენტების, ასევე ანდაზის მთლიანი ტექსტის და მისი გარემოცვის საშუალებით.

5. ემპირიული მასალის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი განზოგადებები:

ა) **სიყვარულის გამომხატველ მეტაფორულ ანდაზებში** ეს გრძნობა დამყარებულია საპირისპირო სქესის ადამიანების ემოციურ და ფიზიკურ ლტოლვაზე ერთმანეთის მიმართ, გრძნობების და ემოციების ორმხრივობაზე, მარადიულობაზე, სპონტანურობაზე, ურთიერთგაგებასა და ნდობაზე, ერთგულებასა და პატიოსნობაზე, რომლებიც რეალიზებას ჰპოვებენ ჰეტეროგენული კატეგორიების ფარული თუ აშკარა შედარების საფუძველზე. უარყოფითი არსითი შინაარსის მქონე ანდაზები ამ კონცეპტოსფეროში იშვიათია და მათში მსჯელობაა სიყვარულის გამანადგურებელ ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ღალატი, ცალმხრივი სიყვარული და ქონებრივი ან სოციალური მდგომარეობის უპირატესობით განპირობებული მედიდურობა და ეგოიზმი.

ბ) **მეგობრობის გამომხატველ მეტაფორულ ანდაზებში** წინა პლანზეა წამოწეული ერთგულება და გასაჭირში ურთიერთგატანა, ურთიერთნდობა და პატიოსნება ერთობლივ საქმეში, ურთიერთდაფასება და პატივისცემა, მორალური და ფიზიკური თანადგომა ნებისმიერ შემთხვევაში, საჭირო დროს ჯანმრთელი კრიტიკა და პირდაპირობა, სიფრთხილე მეგობრის შერჩევისას და სხვა.

გ) სახლის ცნების გამომხატველ მეტაფორულ ანდაზებში აქცენტი კეთდება იმ ძირითად მახასიათებლებზე, რომელთა ერთობლიობაც ლექსემა home-ის კონცეპტუალურ მნიშვნელობას აყალიბებს ანგლოფონურ კულტურაში. შესაბამისად, ამ ანდა-ზებში სახლი მეტაფორულად არის გაიგივებული ციხესიმაგრესთან, სადაც ადამიანი სულიერად და ემოციურად კომფორტულად, დაცულად და ხელშეუხებლად გრძნობს თავს. ინგლისელისთვის home არ გულისხმობს მარტო შენობა-ნაგებობას, ეს არის თბილი და მყუდრო გარემო, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება. მეტაფორულ ანდაზებში ხშირად home-ს ენაცვლება ლექსემა house, რომელიც აქტუალიზდება საკუთრების გამომხატველი ფრაზით – "one's own" ("Every man is a king/master in his own house").

დ) ოჯახური ურთიერთობების გამომხატველ მეტაფორულ ანდაზებში კი ხაზგასმა კეთდება ურთიერთსიყვარულზე და ურთიერთგაგებაზე, მიმტევებლობასა და კეთილგონიერებაზე, ერთგულებასა და შრომის თანაბარ განაწილებაზე, ცოლ-ქმრის, მშობლებისა და შვილების ურთიერთპატივისცემაზე, მშობლების ამაგზე და შვილების მიერ მათ დაფასებაზე, დედის და მამის როლზე შვილების აღზრდაში, მათი ავტორიტეტის და პიროვნული თვისებების ზემოქმედებით ძალაზე და ა.შ.

6. ჩვენს მიერ განხორციელებულმა მეტაფორული ანდაზების კვლევამ მხატვრულ ტექსტში წარმოაჩინა მათი ფუნქციონირების მკვეთრად გამოხატული ორი ტიპი: ა) **უზუაღური**, როდესაც ანდაზა რეალიზება მისი ტრადიციული, სისტემური მნიშვნელობით; და ბ) **ოკაზიონალური**, როდესაც ანდაზის საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობა იცვლება კონტექსტის ზეგავლენით, რის შედეგადაც ის იძენს კონკრეტულ, ინდივიდუალურ შინაარსს. ემპირიული მასალის ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში მეტაფორულმა ანდაზამ შეიძლება განიცადოს ორი სახის ცვლილება – ერთი სემანტიკური კლასიდან გადაინაცვლოს მეორეში ან შეიცვალოს შეფასებითი არსითი

მნიშვნელობა დადებითიდან უარყოფითისკენ ან პირიქით –
უარყოფითიდან დადებითისკენ.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. **დარასელია, ნ. (1998).** *ანდაზათა ლინგვისტური კვლევის ზოგიერთი საკითხი* (ქართულ და ინგლისურ ანდაზათა მასალაზე). სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ჟურნალი *პოლიგლოტი*. თბილისი: გამომცემლობა "სკოლა", გვ. 39–46.
2. **ერთელიშვილი, ფ. (1957).** *ანდაზის ცნების საკითხისათვის*. მნათობი N3.
3. **რუსიეშვილი, მ. (2005).** *ანდაზა*. თბილისი: გამომცემლობა "ლეგა".
4. **Lakoff, G. & Johnson M. (1980).** *Metaphors we live by*. London; Chicago: The University of Chicago Press: 242.
5. **Mieder, W. (2004).** *Proverbs: A Handbook*. Greenwood Folklore Handbooks. https://www.google.ge/sourceid=wolfgang_mieder_proverbs_a_handbook
https://www.academia.edu/31875861/Proverbs_A_Handbook
6. **Obelkevich, J. (1994).** *Proverbs and social history*. In *Wise words. Essays on the proverb*. Ed. by W. Mieder. N.Y.: Garland Publishing, Inc.: 211-252.
https://books.google.ge/books/about/Wise_Words.html?id=hKhhQgAACAJ&redir_esc=y
7. **Rogers, T.B. (1994).** *Psychological approaches to proverbs*. A treatise on the import of context. In *Wise words. Essays on the proverb*. Ed. W. Mieder. N.Y.: Garland: 159-181.
8. **Taylor, A. (1975).** *Selected Writings on Proverbs*. Helsinki: 130.
[https://books.google.ge/Taylor,A.\(1975\).Selected+Writings+on+Proverbs.+Helsinki:+130](https://books.google.ge/Taylor,A.(1975).Selected+Writings+on+Proverbs.+Helsinki:+130)

9. Taylor, A. (2011). *The Collection and Study of Tales and Proverbs*. Retrieved from: www.deproverbio.com; www.locustvalley.com/Families_of_Distiction/Taylor.html
10. Whiting, B. J. (1932). *The Nature of the Proverb*. Harvard Studies and Notes in Philology and Literature 14: 273–307; <https://www.worldcat.org/title/nature-of-the-proverb/oclc/84306750>
11. Yankah, K. (1994). *Do proverbs contradict? Wise words. Essays on the proverb*. Ed. by W. Mieder. N.Y.: Garland Pub: 127-142.
12. Барли, Н. (1984). *Структурный подход к пословице и максиме*: 127-148.
13. Виноградов, В. В. (1977). *Лексикология и лексикография*. Москва.
14. Вольф, Е.М. (1985). *Функциональная семантика оценки*. М.: Наука: 228.
15. Касарес, Х. (1958). *Введение в современную лексикографию*. М.: Изд-во иностранной литературы: 364.
16. Кунин, А.В. (1986). *Курс фразеологии современного английского языка*: учеб. для ин-тов и факультетов иностр. яз. М.: Высшая школа: 336.
17. Кунин, А. В. (1967). *Фразеология современного английского языка*. Москва: Просвящение.
18. Маккормак, Э. (1990). *Когнитивная теория метафоры*. В кн.: Теория метафоры. М.: Наука, сс. 358-386.
19. Ожегов С.Л. (1999). Введение. В кн. Ожегов С.Л. & Шведова Н.Ю., *Толковый сло-варь русского языка: 80000 слов и фразеологических выражений*. Москва, 1999.
20. Пермяков Г. Л. (1970). *От поговорки до сказки* (Заметки по общей теории клише). Москва: Наука: 240. https://auction.ru/offer/permjakov_g_l_ot_pogovorki_do_skazki_zametki_po_obshchej_teorii_klishe_serija_issledovaniya_po_folklor-i20106557491854.html
21. Пермяков, Г.Л. (1975). *К вопросу о структуре паремнологического фонда*. Типологические исследования по фольклору: сб. статей. М.: МГУ: 247-274.

<https://www.ruthenia.ru/folklore/permyakov1.pdf>

22. **Чернышева, И. И. (1997).** *Старые проблемы в новой лингвистической парадигме.* Филологические науки. № 2: 76 -82.

ნაშრომში გამოყენებული ლექსიკონები:

1. **Oxford Dictionary of English Proverbs - ODEP (1970).** 3d ed. Oxford: Oxford University Press.
2. **Whiting, B. J. (1989).** *Modern Proverbs and Proverbial Sayings.* Cambridge, Massachusetts: Harvard University Press: 709.
<https://www.worldcat.org/title/modern-proverbs-and-proverbial-sayings/oclc/19624717>
3. **Кунин, А.В. (1997).** *Англо-русский фразеологический словарь.* М.: Русский язык.

მხატვრულ წყაროთა სია:

1. **Appel, Jacob M.** *The Frying Finn.*
<http://www.bu.edu/agni/fiction/print/2004/59-appel.html>
2. **Christie, Agatha.** *Parker Pyne investigates*, Ch. 2: The case of the discontented soldier
<https://www.agathachristie.com/stories/parker-pyne-investigates>
3. **Dickens, Charles.** *David Copperfield*
<http://www.underthesun.cc/Dickens/copperfield/copperfield>
4. **Galsworthy, John (1989).** *In Chancery.* Moscow: Progress Publishers.
5. **Howells, William Dean.** *The Rise of Silas Lapham*
https://www.goodreads.com/book/show/381362.The_Rise_of_Silas_Lapham
6. **Jacobs, Joseph (1898).** *English Fairy Tales.*

7. **Maugham, William Somerset (1977).** *Sheppey*. N.Y.: Arno Press: 118.
https://books.google.ge/books/about/Sheppey.html?id=OdZSjwEACAAJ&redir_esc=y
8. **Seaman, Augusta Huiell.** *The Mystery At Number Six*
<https://www.abebooks.com/MYSTERY-NUMBER-SIX-Seaman-Augusta-Huiell/22506299759/bd>
URL: <http://digital.library.upenn.edu/women/seaman/six/six.html>
9. **Wilde, Oscar (1970).** *The remarkable rocket*. Fairy tales. M.: Progress Publishers: 211.
10. **Wilde, Oscar.** The Picture of Dorian Grey. Retrieved: 20.04.2020
URL: <https://www.planetebook.com/free-ebooks/the-picture-of-dorian-gray.pdf>